645
1963/8

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

აგვისტო 1963 წ. № 8

# ქალთა მსოფლიო კონგრესის მიმართვა

## ყველა კონტინენტის ქალებს

ყველა ქვეყნის, ყველა კონტინენტის ქალებო, დედებო, ძვირფასო დებო, ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენ, ქალთა მსოფლიო კონგრესის მონაწილენი, მოგმართავთ ყველას.

ჩვენ, 110 ქვეყნის ასეულ მილიონობით ქალის წარმომადგენლები, ჩამოვედით მოსკოვში დედამიწის ყველა კუთხიდან: ევროპიდან, აზიიდან, აფრიკიდან, ავსტრალიიდან, ამერიკის კონტინენტის ყველა ქვეყნიდან, რათა ერთმანეთისთვის გაგვეზიარებინა ჩვენი გამოცდილება, ჩვენი შიში და ჩვენი იმედები და ერთად გამოგვერკვია, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს ჩვენს შეშფოთებას და განხორციელდეს ჩვენი იმედები.

ჩვენ გვაერთიანებს საერთო მისწრაფება დედამიწის ყველა ხალხის მტკიცე მშვიდობისადმი, თუმცა ჩვენი ქვეყნები განვითარების სხვადასხვა დონეზეა, თუმცა ჩვენ სხვადასხვა სოციალური წარმოშობის, პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური მრწამსის ადამიანები ვართ.

ჩვენ ერთსულოვნად ვისწრაფვით მოვუპოვოთ მუშა ქალებს, გლეხ ქალებს, დიასახლისებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს ღირსეული და სამართლიანი ადგილი საზოგადოებასა და ოჯახში, უფლებათა და მოვალეობათა თანასწორობა, რაც საშუალებას მოგვცემს სრულად განვავითაროთ ნიჭი, მონაწილეობა მივიღოთ კაცობრიობის პროგრესის ყველა დარგში. მილიონობით ქალმა უკვე მოიპოვა ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური უფლებანი და იბრძვის მათი განმტკიცებისა და გაფართოებისათვის. მილიონობით ქალი მონაწილეობს ახალი საზოგადოების აშენებაში მამაკაცებთან სრული თანასწორობის საფუძველზე.

ვალენტინა ტერეშკოვასა და ვალერი ბიკოვსკის გმირობა ბრწყინვალედ ადასტურებს, რომ ჩვენი ოცნება შეიძლება სინამდვილედ გადაიქცეს.

ჩვენ ერთსულოვნად და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ბედნიერება მოვუპოვოთ ჩვენს ბავშვებს. დედამიწის ყველა ბავშვს შევუქმნათ ჯანსაღი, ბედნიერი, ნაყოფიერი ცხოვრება.

ქალი მსოფლიოს ყველა ბავშვის დედაა. ვერ შევურიგდებით იმას, რომ მეცნიერული და სოციალური პროგრესის საუკუნეში, რომელშიც ვცხოვრობთ, მილიონობით ბავშვს წართმეული აქვს სიხარული, შიმშილობს, უწიგნურია, უწევენ ექსპლოატაციას, დაბეჩავებულია, მოელის უდროოდ სიკვდილი.

არ შეგვიძლია შევურიგდეთ რასებსა და ხალხებს შორის მტრობისა და სიძულვილის პროპაგანდას, იმას, რომ რეაქციისა და ომის ძალებს აქვთ შესაძლებლობა მოწამლონ ახალგაზრდობის გონება და გახრწნან მისი სული.

**ყველა ქვეყნისა და ყველა კონტინენტის ქალებო!**

მოგიწოდებთ დაუცხრომლად იბრძოლოთ, არ შეუშინდეთ სიძნელეებსა და მსხვერპლს იმისათვის, რომ მოვიპოვოთ და დავიცვათ ქალთა უფლებანი ყველა დარგში — შრომის, ჯანმრთელობის დაცვის, დასვენების, კულტურის უფლებანი, ეკონომიური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებანი, რომ შევქმნათ ჩვენს ქვეყნებში და მთელ დედამიწაზე თვითეული ოჯახის ბედნიერი ცხოვრების საჭირო პირობები, რომლებიც საშუალებას იძლევა აღვზარდოთ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის, სოციალური პროგრესის, ჰუმანიზმის დიადი იდეალებით შთაგონებული ბავშვების თაობები.

ბედნიერებისადმი ამ კანონიერი მისწრაფების განხორციელებისათვის საჭიროა მშვიდობა და ხალხთა შორის მეგობრობა.

**ძვირფასო დებო, მთელი დედამიწის ძვირფასო მეგობრებო!**

შეშფოთებული ვართ იმ მზარდი საფრთხის გამო, რომელსაც გამალებული შეიარაღება ქმნის. ამას შეიძლება მოჰყვეს თერმოატომური კატასტროფა, რომელიც მთელ კაცობრიობას მოუტანს უალრესად სერიოზულ შედეგებს.

კოლოსალური რესურსები იყრება უფსკრულში. ნთქავს ნგრევისა და მოსპობის საშუალებათა წარმოება.

ჩვენ შეგნებული გვაქვს პასუხისმგებლობა ჩვენი ბავშვების მომავლისა და მშვიდობის ბედისათვის და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი სულ უფრო მეტი წვლილი შევიტანოთ ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ გვსურს მონაწილეობა მივიღოთ მტკიცე მშვიდობის დამყარებაში. გვსურს შევქმნათ მტკიცე მშვიდობა. ჩვენ არ გვინდა ომი, და დარწმუნებული ვართ, რომ სახელმწიფოთა კონფლიქტები შეიძლება გადაიჭრას მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით.

გვსურს ვიმუშაოთ იმისათვის, რომ დავამყაროთ მთელ მსოფლიოში სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა ურთიერთპატივისცემის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, თავდაუსხმელობის, ჩაურევლობის, თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე. ჩვენ გვინდა მივაღწიოთ საყოველთაო, სრულ და მტკიცე კონტროლს დაქვემდებარებულ განიარაღებას, უწინარეს ყოვლისა თერმოატომურ განიარაღებას.

მოგიწოდებთ

იბრძოლეთ ჩვენთან ერთად შეუსვენებლად და შეუპოვრად, რომ მივაღწიოთ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტას, უატომო ზონების შექმნას, სამხედრო ბაზების ლიკვიდაციასა და უცხოეთის ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანას;

მხარი დაუჭიროთ მოღვაწეების, ორგანიზაციების, მთავრობების, ყველა იმათ გამოსვლებს, ვინც ამ მიმართულებით მოქმედებს;

გაზარდეთ მშვიდობისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, განიარაღებისათვის ქალთა გამოსვლების რიცხვი.

განიარაღება მშვიდობისმოყვარე ადამიანთა ერთერთი უდიდესი გამარჯვება იქნება. იგი ხელს შეუწყობს საყოველთაო მშვიდობის დამყარებას, შექმნის ხალხთა ნამდვილი თანასწორობის პირობებს, გაათავისუფლებს უდიდეს მატერიალურ და ადამიანთა რესურსებს მშვიდობიანი შრომისათვის, მეცნიერებას ჩააყენებს კაცობრიობის სამსახურში.

განიარაღება ვერ გადაჭრის ყველა გადაუჭრელ სოციალურ და სხვა პრობლემას, მაგრამ იგი შექმნის ხალხთა ინტერესების შესაბამის პირობებს.

განიარაღებისა და მშვიდობის საქმე განუყოფელია იმ ხალხთა საქმისაგან, რომლებიც თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

შეუწყნარებელი და სამარცხვინოა კაცობრიობისათვის, რომ მილიონობით მამაკაცი, ქალი, ბავშვი ჯერ კიდევ არის კოლონიურ მონობაში, რომ აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყანა ჯერ კიდევ დამოკიდებულია ეკონომიურად იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე, რომ ჰიტლერის განადგურების 18 წლის შემდეგ კიდევ არსებობენ ფაშისტური დიქტატორები.

ყველა ხალხს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა თავისუფლად და დამოუკიდებლად იცხოვროს, აირჩიოს თავისთვის ცხოვრების წესი და საზოგადოებრივი წყობილება.

ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ქალებს, ხალხებს, რომლებიც იბრძვიან ყველა სახეობის იმპერიალისტური ჩაგვრის, ყველა ფორმის კოლონიალიზმისა და ფეოდალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, განთავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

სოლიდარობას ვუცხადებთ ქალებს, რომლებიც იბრძვიან და იტანჯებიან ფაშიზმის საშინელ პირობებში. და ჩვენ ვიბრძვით, რომ არცერთი ქალი არ იყოს საპყრობილეში იმის გამო, რომ იცავდა თავის ბავშვებს, თავისუფლებას, მშვიდობას.

**ქალებმა, ჩვენ, სიცოცხლის მომნიჭებლებმა, უნდა დავიცვათ სიცოცხლე.**

ჩვენ გვაკისრია დიდი პასუხისმგებლობა ჩვენი უფლებების, ჩვენი ბავშვების ბედნიერების დაცვის საქმეში, მშვიდობისა და ხალხთა დამოუკიდებლობის უფლებების დაცვის საქმეში, მაგრამ ჩვენ აღსავსე ვართ ჩვენი ძალების დიდი რწმენით.

ჩვენ კაცობრიობის უმრავლესობა ვართ. ჩვენი ძლიერება ჩვენი ერთობაა, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა თავიდან აგვეცილებინა დღემდე მესამე მსოფლიო ომის საშინელებანი.

ის, რაც ჩვენ გვაერთიანებს, დიდი ძალაა:

ეს არის სიყვარული ჩვენი ბავშვებისადმი, მეგობრობა და სოლიდარობა მთელი მსოფლიოს ქალებსა და ხალხებს შორის, ეს არის ჩვენი მისწრაფება მშვიდობისადმი, სამართლიანობისადმი, მთელი კაცობრიობის პროგრესისა და ბედნიერებისადმი.

ჩვენ გავერთიანდით, რათა მოვიკრიბოთ და ავამოქმედოთ მთელი ძალები ომის საფრთხის წინააღმდეგ, რათა უზრუნველვყოთ მტკიცე მშვიდობა მთელ დედამიწაზე.

**თუ მოვინდომებთ, სიცოცხლე გაიმარჯვებს!**

მოსკოვი, 1963 წლის 24-29 ივნისი.



მოსკოვი

1963

24 - 29 VI

Мир PAIX Paz 和平 მშვიდობა Мир FRIEDEN سلام PEACE

# ქალთა დიადი ფორუმი



კონგრესის პრეზიდიუმი



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ინიციატივით მოწვეული ქალთა მსოფლიო კონგრესი მთელი სამყაროს ქალთა დიად ფორუმს წარმოადგენდა, ამიტომ იყო ის მეტად მნიშვნელოვანი, დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობის ნათლად ამსახველი, კაცობრიობის პროგრესული მიზნებისათვის მებრძოლი.

კონგრესმა პირველ საკითხად მოისმინა ფედერაციის თავმჯდომარის, საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის ეჟენი კოტონის მოხსენება — „ქალების ბრძოლა მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, უფლებებისათვის და ბავშვთა ბედნიერებისათვის";

მეორე საკითხად—იტალიელ ქალთა კავშირის მიერ წარმოდგენილი მოხსენება — „ბრძოლა ქალების უფლებებისათვის საზოგადოებაში და ოჯახში";

მესამე — კუბელ ქალთა კავშირის მიერ წარმოდგენილი მოხსენება — „ბავშვების და ახალგაზრდების ჯანმრთელობა, აღზრდა, და განათლება";

მეოთხე — მალის რესპუბლიკის ქალთა მოხსენება — „ქალების ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის".

მაგრამ დღეს ყველა სოციალური და ეროვნული პრობლემების წარმატებით გადაწყვეტა განუყოფლად არის დაკავშირებული თანამედროვეობის უმთავრეს საკითხთან — მშვიდობასთან. ამიტომ იყო, რომ ძირითადი მომხსენებლებიც და დისკუსიის მონაწილენიც მთავარ მნიშვნელობას აკუთვნებდნენ მშვიდობისათვის ბრძოლას, სრულ და საყოველთაო განიარაღებას, ატომური იარაღის აღკვეთას, ომისა და ნგრევისათვის განკუთვნილი მილიარდების გამოყენებას ხალხთა კეთილდღეობისათვის: საბავშვო ბაღებისა და ბაგების, საცხოვრებელი სახლების და საავადმყოფოების ასაშენებლად, განათლებისათვის, შიმშილისა და ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ჩამორჩენილი ქვეყნების ეკონომიური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

სწორედ ამ საერთო-საკაცობრიო პროგრესული მიზანდასახულობით ჰგავდა ქალთა ეს მსოფლიო კონგრესი მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესს, რომელიც შარშან ამ დროს მიმდინარეობდა კრემლის იმავე ყრილობათა სასახლეში. საერთო ნათესაურმა შინაარსმა წაშალა ზღვარი ამ ორ უდიდეს მოვლენას შორის.

24 ივნისს, როგორც გასული წლის ივლისის თვეში, მინითა და მსუბუქი ლითონით ნაგები შესანიშნავი სასახლის დარბაზები და სართულები გაიჭედა მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული დელეგატებით. შეინიშნებოდა მამაკაცთა საგრძნობი უმცირესობა. ეს იმიტომ, რომ აქ ქალები იყვნენ მასპინძლებიც და სტუმრებიც. მხარზე გადაგდებული სარის ბოლოებით— მოხდენილად მონარნარე ინდოელი ქალები, ოქრომკედით ნაქარგი მოშრიალე კი-

მონოებში — იაპონელი ქალები; თვალისმომჭრელად მოელვარე წამოსასხამებში — აფრიკელი ქალები; მსუბუქად მოფარფატე შარვლებში და ქალაღაიებში ახლო და შუა აღმოსავლეთის ქალები; თეთრწითლიან სამოსებში — სკანდინაველი ქალები; სადად ჩაცმული — ევროპელი ქალები; შიგადაშიგ — სადარბაზოდ მოკაზმული ქალები. აქ ქალები იყვნენ თეთრი და შავკანიანები, მულატები და ყვითელკანიანები. აქ ქალები იყვნენ ირიბად გაჭრილი თვალებიანი, ცისფერთვალებიანი, ცილის თეთრ ჩარჩოში ჩასმული შავთვალებიანი, აღმოსავლური სევდით სავსე თვალებიანი. აქ ქალები იყვნენ თეთრკბილა და ტუჩმსხვილი, ხუჭუჭ შავთმიანი, ტანწვრილი და ფერმკრთალი, ახალგაზრდები და ჭაღარაშერთულნი. აქ იყვნენ ქალები საკუთარი მსოფლმხედველობის, პოლიტიკური მრწამსის, რელიგიის, ზნე-ჩვეულების. აქ იყვნენ ქალები იმ ქვეყნებიდან, სადაც აღარავის ახსოვს ქალთა უუფლებობა, იმ ქვეყნებიდან, სადაც ეროვნულ დამოუკიდებლობასთან ერთად ქალებმა ახლახანს მოიპოვეს თავისი უფლებები, იმ ქვეყნებიდანაც, სადაც გრძელდება შეუპოვარი ბრძოლა თავისუფლებისათვის და იმ ქვეყნებიდანაც, სადაც ხალხი ახლა იღვიძებს, ძალას იკრებს ამ ბრძოლისათვის.

სულ სხვადასხვა ენებზე მეტყველებდნენ ეს ქალები, მაგრამ მათ ერთი, ყველასათვის გასაგები ენა აკავშირებდათ —დედის ენა, დედობრივი გრძნობის გამომხატველი ენა. მათ ერთი უძლიერესი სურვილი აკავშირებდათ — სურვილი, რომ მათ ბავშვებს, მიუხედავად კანის ფერისა, ეროვნებისა, წარმოშობისა, მდგომარეობისა, ჰქონდეთ ზრდის, განვითარების, განათლების, სასარგებლო მოქალაქედ გახდომის ერთნაირი უფლება, აი ისე, როგორც ეს საბჭოთა კავშირშია. მათ უნდათ, რომ დედამიწაზე მოისპოს ქალთა და მამაკაცთა უფლებებს შორის განსხვავება, აი სწორედ ისე, როგორც ეს საბჭოთა კავშირშია. მაგრამ მათ იციან, რომ ბავშვების ბედნიერებისათვის საჭიროა მშვიდობა, რომ მხოლოდ მშვიდობიან გარემოში შეიძლება ბავშვი იზრდებოდეს ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი და ძლიერი, მიიღოს განათლება და იყოს ბედნიერი. „ბედნიერება შეიძლება იყოს მხოლოდ ომის კოშმარიდან განკურნებულ მიწაზე", —ამბობს ქალბატონი მონიკა ქამანი კამერუნიდან, ამას ამბობენ ქალები ხუთივე კონტინენტისა, ამბობენ და თავიანთი საქმიანობით ნათელყოფენ ქალთა საზოგადოებრივი აქტივობის გაძლიერებას მთელ მსოფლიოში.

24 ივნისს, დილის ათ საათზე, როცა კონგრესის გახსნისას იჭექა სიმღერამ: „დაე, ყოველთვის ანათებდეს მზე..." და დელეგატთა ტაშის გრიალში წაიკითხეს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის მისალმება კონგრესისადმი, დარბაზში ვალენტინა ტერეშკოვა გამოჩნდა, როგორც ქალთა თანასწორუფლებიანობის სიმბოლო, გამოჩნდა



კონგრესის საპატიო დელეგატი კოსმონავტი ვ. ტერეშკოვა



ორგზის სოციალისტური შრომის გმირი კოლმეურნე ნ. ზაგლადა











კონგრესის მონაწილენი




„თოლია“, უზომო ქალურობის იერით დამშვენებული, სახემცინარე, თითქმის გოგონა, სადად ჩაცმული, უბრალო და თავშეკავებული... ადიდებულ მდინარესავით მიასკდა ტრიბუნას დარბაზში მყოფთა სიხარული, აღტაცება, სიამაყე, მადლობა. დიდხანს, დიდხანს ფეხზე დგომით, სიყვარულით ესალმებოდა ქალთა მსოფლიო კონგრესი თავის პირველ დელეგატს კოსმოსში...

ძნელია კონგრესის იმ ხუთი დღის შინაარსის გადმოცემა. ამ პატარა წერილში შეუძლებელია ყველა იმ ქალის უბრალო ჩამოთვლაც კი, რომლებიც დამსწრეთ უამბობდნენ თავიანთი ქვეყნის ამბავს — სამწუხაროს თუ სასიხარულოს. ტრიბუნაზე გამოსული ქალები კონგრესის მონაწილეებს უზიარებდნენ თავიანთ დარდს ქალებისა და ბავშვების ბედზე. ბევრი მათგანი ლაპარაკობდა, როგორ ქმნიან ისინი პროგრესულ კავშირებს, როგორ ერთიანდებიან კოლონიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ანგოლელმა მარია დალუზ კანდიბამ მღელვარებით უამბო დამსწრეთ როგორ იბრძვიან პარტიზანი ქალები მშობლიური მიწა-წყლის კოლონიზატორებისაგან გასანთავისუფლებლად. უცხო სახელმწიფოთა სამხედრო ბაზების არსებობა მშობლიურ მიწაზე აწუხებს მათ. ამაზე მღელვარებით ლაპარაკობდა სოფიო ციმილი კუნძულ კვიპროსიდან. „ჩემი მშობლიური მიწა, ხმელთაშუა ზღვის მარგალიტი, გადაქცეულია ინგლისის იმპერიალიზმის სამხედრო ბაზად, ატომური იარაღის არსენალად...“ მან მოუწოდა ინგლისელ ქალებს — დაეხმარონ კვიპროსის ხალხს ინგლისის იმპერიალიზმთან ბრძოლაში.

მათ მიწაზე ამერიკის სამხედრო ბაზების არსებობის ფაქტს უდიდესი გულისტკივილით აღნიშნავდა იაპონელი დელეგატი სადაკო ოგასავარა. იგი ლაპარაკობდა ატომური ომის საშინელებაზე, მოუწოდებდა ქალებს განიარაღებისათვის და მშვიდობისათვის ბრძოლისაკენ. იაპონელმა დელეგატებმა კონგრესს მიართვეს დიდი პირსახოცი, რომელზეც უთვალავ იაპონელ ქალს თითო გვირისტის დადებით ამოუქარგავს იაპონიაში ამერიკული სამხედრო ბაზების განლაგების სქემა.

არგენტინელი აურა ლეიტასი და კოლუმბიელი გლორია ერნანდესი ლაპარაკობდნენ თავიანთი ქვეყნების ქალთა აღფრთოვანებაზე კუბელი ქალების გმირული მოქმედებით, და რომ მათთვის კეთილი მაგალითია კუბელი ქალების საქმიანობა განთავისუფლებული სამშობლოს მართვა-გამგეობაში.

მაროკოელი სფაია ავაბი შესჩიოდა კონგრესს, რომ მის ქვეყანაში მილიონზე მეტი ბავშვი სკოლის გარეთაა დარჩენილი. ამერიკელი, იორდანელი და ფრანგი დელეგატები ამბობდნენ, რომ ქალებმა გვერდი უნდა აუხვიონ ყველაფერ იმას, რაც მათ სთიშავთ, და გაერთიანდნენ მშვიდობის, სიცოცხლის და შვილების მომავლის დასაცავად.

ყველა ქალის გამოსვლა თავისებურად და ძლიერად შთამბეჭდავი იყო, მაგრამ ყველას, ალბათ, სამუდამოდ დარჩება მეხსიერებაში ტრიბუნაზე მდგომი, შავებში ჩაცმული გამხდარი ქალი. ეს თამინა ადილი იყო, ერაყელი პატრიოტის, რეაქციის მიერ წამებული და მოკლული სალამ ადილ სამინის ქვრივი. ის ლაპარაკობდა დაბალი, მთრთოლვარე ხმით:

— მე მინდა, რომ თქვენ გახსოვდეთ, რა არის ფაშიზმი. იგი ახლა ჩემს სამშობლოში ულმობლად სრესს ყოველგვარ კანონს და ადამიანის ელემენტარულ უფლებებს. ქალები ვერ ბედავენ ჯალათების მიერ ნაწამები და მოკლული. ქუჩაში დაგდებული შვილების და ქმრების დაკრძალვას. მათ არა აქვთ ამის უფლება და სიკვდილი სდარაჯობს ადამიანებს. ჯალათებმა აწამეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს სამ პატრიოტ ქალს მხოლოდ იმისათვის, რომ მათ უყვართ სამშობლო, თავისი ხალხი, უნდათ ბავშვების სიცოცხლე და ბედნიერება...

დაამთავრა თუ არა სიტყვა თამინამ, ბრაზილიელმა ქალებმა წინადადება წამოაყენეს, რომ გაეგზავნოთ ერაყის მთავრობას პროტესტის წერილი პატრიოტი ქალების მიმართ რეპრესიების წინააღმდეგ. წერილის ტექსტი ერთსულოვნად მიიღო კონგრესმა.











დარბაზი მიესალმება ვ. ტერეშკოვას

იტალიელმა ქალებმა წამოაყენეს წინადადება, რომ კონგრესმა მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და ჟენევის 18-თა კომიტეტს, რათა მიღებულ იქნას სწრაფი და კონკრეტული ღონისძიებანი ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვისათვის, სრული და საყოველთაო განიარაღებისათვის.

მეხუთე დღის ბოლოს კონგრესის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მიმართვა ყველა ქვეყნის ქალებისადმი და ამით დაამთავრეს მუშაობა. საბჭოთა ქალების კომიტეტის დახმარებით უცხოეთიდან ჩამოსული დელეგაციები, მათი სურვილისამებრ, წავიდ-წამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში.

დოლორეს იბარური



მალის წარმომადგენელმა აუა კეიტმა რისხვით ამხილა კოლონიალიზმის ახალი, შენიღბული ფორმა — ნეოკოლონიალიზმი, რომელიც ცდილობს კოლონიალიზმისაგან განთავისუფლებული ქვეყნების ეკონომიური და სოციალური აღმავლობის შეფერხებას. იგი სიამაყით ლაპარაკობდა, როგორი თავგანწირვით იბრძვიან აფრიკელი ქალები ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თუნდაც ხელთ არ ჰქონდეთ არავითარი იარაღი, თავისუფლების სიყვარულის გარდა.

როგორც ყოველთვის, მგზნებარე იყო დოლორეს იბარურის სიტყვა.

— ეს კონგრესი, — თქვა პასიონარიამ, — გამომხატველია მთელი მსოფლიოს ქალების მშვიდობისათვის ბრძოლის უტეხი ნების, სრული და საყოველთაო განიარაღების, პროგრესისა და სამართლიანობისთვის ბრძოლისათვის მზადყოფნისა. ეს კონგრესი ქალების გულში იმედის დამნერგავია, მეგობრობის და ერთიანობის გამომსახველია. იგი დარჩება ქალთა კეთილშობილური ბრძოლის ისტორიაში, როგორც ახალი მწვერვალი, მშვიდობისა და ხალხთა ურთიერთგაგების მომხრეთა მიერ აღებული. ერაყი, სამხრეთ ვიეტნამი, სამხრეთ კორეა, პორტუგალია, საბერძნეთი, ესპანეთი სისხლის ლაქებია მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე და მეტი აღარ შეიძლება ამის ატანა. კონგრესმა მხარი უნდა დაუჭიროს ამ ქვეყნების წარმომადგენელთა სამართლიან, ჰუმანურ მოთხოვნას. დოლორესი მოუწოდებდა ამერიკელ ქალებს — დაეხმარონ იმ ქვეყნის ქალებს, სადაც ამერიკის იმპერიალიზმი თავისი სამხედრო ბაზებით სთელავს ეროვნულ სუვერენიტეტს, დაეხმარონ ესპანელ ქალებს — ამერიკის სამხედრო ბაზებისაგან ესპანეთის მიწის გაწმენდაში და ფრანკისტული დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში.





კონგრესის მონაწილეები

საერთაშორისო ცხოვრებაში ყოველდღე ახალ-ახალი მოვლენები იჭრება, მაგრამ საბჭოთა ქალების კომიტეტის მისამართით არ სწყდება წერილების ნაკადი. გრძელდება საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მილოცვების, კეთილი სურვილების, სუვენირების, ფულადი ფონდების მიღება. ასე იქნება ძალიან დიდხანს იმიტომ, რომ იმედის, ხალხთა შორის მეგობრობისა და სოლიდარობის კონგრესის ღრმა კვალი არასოდეს არ წაიშლება.

თინა დონჟაშვილი

## ლაპარაკობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მონაწილე

# საბჭოთა სკოლა და ახალი ადამიანის აღზრდა

ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ივნისის პლენუმი, რომელიც მიეძღვნა იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს.

პლენუმმა მოუწოდა პარტიულ ორგანიზაციებს გამოიყენონ ყველა სახის იდეური იარაღი საბჭოთა ადამიანის აღზრდისათვის. შემთხვევითი არ არის, რომ ამხ. ლ. ილიჩოვის მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია საბჭოთა სკოლის როლსა და ამოცანებზე, როგორც ადამიანის აღზრდისა და ჩამოყალიბების დიდმნიშვნელოვან ფაქტორზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ეტაპზე მოზარდი თაობის აღზრდას, იმ თაობისა, რომელმაც უნდა იცხოვროს და იშრომოს კომუნიზმის დროს.

ამ საქმეში კი გადამწყვეტი როლი საბჭოთა სკოლას ეკუთვნის. სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარება კომუნისტური მშენებლობის შემადგენელი ნაწილია. მას დიდი პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური მნიშვნელობა ენიჭება.

სახალხო განათლების საბჭოთა სისტემამ კარგახანია, რაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა, როგორც უფრო რაციონალურმა და პროგრესულმა სისტემამ. ჩვენმა სკოლამ გამოზარდა საბჭოთა ადამიანების არაერთი თაობა, რომლებიც თავდადებულად შრომობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ეტაპზე პარტიამ სახალხო განათლების წინაშე ახალი ამოცანები დასახა, რომლებმაც თავისი გამოხატულება ჰპოვეს კანონში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ.

ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი სკოლები ახლებურად წარმართავენ მუშაობას და, როგორც პლენუმზე აღინიშნა, ახლა ყველა ხედავს, თუ რაოდენ დროული იყო კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ. შრომა ფართოდ დამკვიდრდა სკოლის ცხოვრებაში, სწავლება უფრო დაუახლოვდა ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს. ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა სკოლის კედლებში ფსიქოლოგიურად და პრაქტიკულად ემზადება შრომითი საქმიანობისათვის. გოგონები და ვაჟები სკოლის დამთავრების შემდეგ უფრო მეტი რწმენით იწყებენ პრაქტიკულ ცხოვრებას, ვინაიდან ისინი შეიარაღებულნი არიან არამარტო ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნით, მათ გააჩნიათ აგრეთვე გარკვეული პრაქტიკული ჩვევები.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში სახალხო განათლების სისტემა კიდევ უფრო განვითარდება და უფრო სრულყოფილი გახდება. პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებსა და პარტიის ახალ პროგრამაში განსაზღვრულია ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების შემდგომი განვითარების უდიდესი პერსპექტივები: საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელება, პირობების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების მაღალ დონეს, მათ შრომითსა და პოლიტიკურ მომზადებას მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გაზრდილი დონის შესაბამისად, სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა ქსელის მნიშვნელოვან გაფართოებას...

ჩვენი რესპუბლიკის მასწავლებელთა მრავალრიცხოვანი არმია მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დაუღალავ შრომას ეწევა პარტიის მიერ დასახული ამოცანების განსახორციელებლად.

ბევრი მასწავლებელი სწორად და შემოქმედებითად წარმართავს მუშაობას ახალი ამოცანების შესაბამისად, რის შედეგადაც მოსწავლეთა ცოდნა თანმიმდევრულად უმჯობესდება და მაღლდება, მათ უმუშავდებათ პრაქტიკული საქმიანობის ჩვევები.

მაგრამ, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმსა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე აღინიშნა, მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმე ყველგან როდი დგას სათანადო სიმაღლეზე.

ბევრ სკოლაში მოსწავლეთა გარკვეული ნაწილის ზოგადი განათლების მომზადების დონე ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რაც თანამედროვე ეტაპზე წაყენებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას, მოსწავლეებს ზოგიერთ საგანში არ გააჩნიათ საფუძვლიანი ცოდნა.

განათლების სამინისტრომ მთელი რიგი ღონისძიებანი გაატარა მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების გასაუმჯობესებლად. მათ რიცხვს ეკუთვნის კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების შემოღება დაწყებული მეოთხე კლასიდან. განზრახულია ყოველწლიურად საგამოცდო საგნების შეცვლა.

ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს საწარმოო სწავლების დარგშიც. იგი ხშირად პრიმიტიულ და ფორმალურ ხასიათს ატარებს. პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი საარსებო ამოცანაა სახელმწიფოებრივი წესრიგი დავამყაროთ მოსწავლეთა შრომით აღზრდაში.

ადამიანის ყოველმხრივი განვითარების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად პარტია აყენებს მისი შეგნებულობის აღზრდას, მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირებას.

საშუალო განათლება უნდა უზრუნველყოფდეს მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნას, კომუნისტური მსოფლმხედველობის პრინციპების შეთვისებას, შრომითსა და პოლიტექნიკურ მომზადებას მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გაზრდილი დონის შესაბამისად, საზოგადოების მოთხოვნილებების, მოსწავლეთა უნარისა და სურვილის გათვალისწინებით, აგრეთვე მოზარდი თაობის ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას.

მოსწავლეებში მეცნიერული მსოფლმხედველობის — მატერიალისტური მსოფლმხედველობის აღზრდა იწყება უმცროსი კლასებიდან და ხორციელდება ყველა სასწავლო დისციპლინის შესწავლის პროცესში.

კომუნისტური შეგნებულობის აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე მოსწავლეთა პრაქტიკულ მონაწილეობას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. ყველა სასკოლო საგნის სწავლება მჭიდრო ორგანულ კავშირში უნდა იყოს მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებლურ შრომასთან და ხელს უწყობდეს აღმზრდელობითი ამოცანების სწორად გადაჭრაში.

სწავლისა და აღზრდის მჭიდრო შეხამება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამჟამად, როცა სკოლა მოწოდებულია მოგვცეს კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებლები, რომლებიც არამარტო ღრმა და მტკიცე ცოდნით უნდა იყვნენ შეიარაღებულნი, არამედ იყვნენ საბჭოთა პატრიოტიზმის, მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების სულისკვეთებით აღზრდილი ადამიანები.

პლენუმმა დაავალა რა განათლების ორგანოებს, სკოლებს, თვითეულ მასწავლებელს გადაჭრით გააუმჯობესონ მოზარდი თაობის აღზრდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფოს და სკოლის აღმზრდელობითი როლის ამაღლება სრულიადაც არ ამცირებს ოჯახის პასუხისმგებლობას ბავშვთა აღზრდაში. ყოველმხრივ უნდა ამაღლდეს მშობელთა პასუხისმგებლობა კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

ოჯახსა და სკოლას ყოველთვის მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან, ხელიხელჩაკიდებული აკეთებდნენ საერთო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საპატიო საქმეს — მოზარდი თაობის აღზრდის საქმეს.

კომუნისტური აღზრდის ერთერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია ესთეტიკური აღზრდა. ამიტომაა, რომ პარტია დიდ ყურადღებას უთმობს მასების ესთეტიკურ აღზრდას. ესთეტიკური აღზრდა თავისი მრავალფეროვნებით, განვითარების ყველა ეტაპზე, მჭიდრო კავშირშია გონებრივ, ზნეობრივ და შრომით აღზრდასთან.

სასიამოვნო იყო, როდესაც პლენუმის მაღალი ტრიბუნიდან გამოჩენილმა საბჭოთა კომპოზიტორმა ტიხონ ხრენიკოვმა შეაქო საქართველოს სკოლები მუსიკალური აღზრდის საქმეში.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის ბევრ სკოლაში ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე არ დგას ესთეტიკური აღზრდა. ამ მიმართულებით კვლავ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა ლიტერატურისა და ხელოვნების როლს ახალი ადამიანის აღზრდაში, მისი კულტურის დონის ამაღლებაში.

პლენუმმა მხურვალედ მოიწონა იდეები და დებულებანი, რომლებიც ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვმა განავითარა თავის შეხვედრებსა და გამოსვლებში შემოქმედებით მუშაკებთან. პარტიამ პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანა მხატვრული შემოქმედების პარტიულობისა და ხალხურობის, ხალხის ცხოვრებასთან ხელოვნების კავშირის გამტკიცების, სოციალისტური რეალიზმის, ხელოვნების შემდგომი განვითარებისა და გამდიდრების საკითხები.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვეს, ჩვენი მწერლები, კომპოზიტორები, კინოსა და თეატრის მუშაკები ჯერ კიდევ დიდ ვალში არიან სკოლის წინაშე, ახალგაზრდობის წინაშე.

პლენუმზე გარკვეულად ითქვა, რომ ახალგაზრდობის გულში გმირობისადმი მისწრაფების ცეცხლის გაღვივებას, დიადი სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობის ჩანერგვას, უფროს თაობათა შთამაგონებელი მაგალითით გატაცებას მხოლოდ ის ნაწარმოებები შეძლებენ, რომლებიც აშუქებენ ჩვენი ცხოვრების მაღალ და კეთილშობილურ სიმართლეს, ახალი საზოგადოებისათვის საბჭოთა ხალხის რევოლუციური ბრძოლის გმირიკასა და რომანტიკას.

ეჭვი არ არის, რომ პლენუმის მოწოდებაზე — განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საბავშვო და ახალგაზრდობის წიგნების, პიესების, კინოფილმების შექმნას — ჩვენი ლიტერატურის და ხელოვნების მუშაკები ახალი მაღალხარისხოვანი ნაწარმოებებით უპასუხებენ, რაც დიდად შეუწყობს ხელს ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა მკაფიო და კონკრეტული ამოცანები დასახეს სკოლის წინაშე. მათ შორის პირველი რიგის ამოცანებია: საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განუხრელად განხორციელება, რათა არცერთი სასკოლო ასაკის ბავშვი არ დარჩეს სკოლის გარეთ; პროგრამების და სახელმძღვანელოების გადასინჯვა, მათი შემდგომი სრულყოფა თანადროულობის ამოცანათა შესატყვისად.

საჭიროა მკვეთრად ამაღლდეს მოსწავლეთა ცოდნის ხარისხი და გაუმჯობესდეს აღმზრდელობითი მუშაობა, რაც სკოლამ უნდა განახორციელოს ოჯახის, კომკავშირის, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობითა და დახმარებით.

თამარ ლაშქარაშვილი,
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.


ეროვნული ბიბლიოთეკა







გიგა მაჭვილაძე

# თეთრი სპილო

მოთხრობა

— ცოლად უნდა გამომყვე — ვუთხარი ერთ საღამოს ნანას.

— გაგიჟდი?

— ნანა...

— გაჩუმდი.

— ცოლად უნდა გამომყვე! — გავუმეორე ჯიუტად.

ხმა აღარ გაუცია.

გზისპირზე ვერხვის ძირას ვიდექით ორივენი.

დუმდა ნანა.

ვდუმდი მეც.

ღამე არ იყო, მაგრამ მთვარე უკვე ამოსულიყო და ჯიხვის რქასავით გახლართულიყო ვერხვის ტოტებში.

— არ გყვარებივარ! — დავარღვიე სიჩუმე.

— გაჩუმდი. — მთხოვა ნანამ.

ნანა გაბრუებული იდგა.

არ იცოდა რა ეთქვა.

— თქვი რამე! — ვთხოვე ნანას.

— რა ვთქვა!

— რაც გინდა ის თქვი, ოღონდ ნუ გაჩუმდები.

— წავიდეთ — თქვა ნანამ.

— სად?

— სადმე.

იმ საღამოს დიდხანს ვიარეთ, ძალიან დიდხანს.

ორივენი ვგრძნობდით, რომ ამდენს ვეღარასოდეს ვივლიდით. ვგრძნობდით, რომ სადღაც ვეებერთელა ვალდებულებას ვიღებდით ჩვენს თავზე.

* * *

ერთი კვირის შემდეგ ხელი მოვაწერეთ, საღამოს პატარა წვეულება გავმართეთ და ახლო ნათესავებს დავალოცინეთ თავი.

გვიან ღამით შეზარხოშებულმა სიმამრმა მხარზე ხელი დამკრა და მითხრა:

— მომტაცე გოგო, ხომ?

— იიჰ...

— მომტაცე ხომ? რას იზამ... ვეფხვივით ბიჭი მეზრდება.

ჩემი სიმამრი სრულიად არ ჰგავდა ვეფხვს, მაგრამ მიხაროდა, რომ ცოლისძმა იზრდებოდა ვეფხვი.

კიდევ ბევრი რამე მითხრა სიმამრმა, ყველაფერს ვერ იტყვის კაცი.

ნანა და დედამისი ცალკე იდგნენ.

საუბრობდნენ დიდხანს, დედა-შვილს როგორ გამოელევა სალაპარაკო.

ნანას ემძიმებოდა მშობლებთან განშორება, მაგრამ გზამ და დრომ მაინც თავისი გაიტანა.

ქანდაკებასავით შერჩა ჩემი ეზოს ზღურბლს ნანა. იდგა და ნაღვლიანად გაჰყურებდა გზას, რომელმაც მოსტაცა მშობლები.

უჩვეულო ღამე იყო.

უჩვეულო და უცხო.

ნიავი სადღაც მიაქანებდა მთვარეს. ჩვენი სახლის სარკმელთან თეთრი აკაციები ჩურჩულით ვერ ძღებოდნენ.

ფრთხილად მოვკიდე მკლავზე ხელი.

— არ გცივა? — ვკითხე ნანას.

— არა! — ჯიუტად თქვა მან.

— ნანა...

— არ თქვა! — ტუჩზე ხელი მომაფარა. — ვიდგეთ ასე, ვიდგეთ დიდხანს, სულ ასე ვიდგეთ, გინახავს როგორ თენდება?

„მინახავს ნანა, მინახავს.

ბევრი ღამე გამითეთრებია ფიქრში, ბევრი.

შებინდდებოდა თუ არა, უაზროდ დავიწყებდი ქუჩაში ხეტიალს. არ ვიცოდი სად მივდიოდი.

გრძელი იყო გზა.

ხანდახან წვიმდა.

ადამიანები გარბოდნენ, ემალებოდნენ წვიმას, მე კი აკარწახებული შარვლის ტოტებით დავაბოტებდი წყალში. მიყვარდა წვიმაში სიარული და იმიტომ.

მერე მზე გაექცეოდა ღრუბლებს და გაიცინებდა. მე მახარებდა პირდაბანილი მზის სიცილი, მახარებდა და მსურდა მეც მეცინა, მეცინა დიდხანს, ძალიან დიდხანს. მერე უცბად შემომაწვებოდა გულზე სევდა, დავღონდებოდი, მეც არ ვიცოდი რატომ. მეჩვენებოდა, რომ ვეებერთელა დედამიწაზე მარტოდმარტო ვიყავი.

შენ მაშინ შორს იყავი ჩემგან, ძალიან შორს.

ალბათ გახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა. შენ გაჩერებასთან იდექი და ელოდებოდი ავტობუსს. გახსოვს? თებერვალი იყო. პალტოს ორი ღილი შეხსნილი გქონდა და ცისფერი კაბა გიჩანდა. მზე იყო მაშინ, გაზაფხულის მზე. ქუჩაში იებს ყიდდენ. მე მოურიდებლად მოვედი შენთან და გამოგიწოდე ლურჯი ია. შენ გამომართვი და მადლობა გადამიხადე. მერე ავტობუსი მოვიდა. ბევრი ხალხი იყო ავტობუსში. მე შეგეშველე, ჩაჯექი და წახვედი. ერთხანს ვიდექი ხმაამოუღებლად, მერე თითქოს რაღაცამ მიბიძგა და გამოგეკიდე. აბა, რაღას დაგეწეოდი!

მერე ბევრჯერ გელოდე იმ გაჩერებაზე.

მერე ბევრმა ავტობუსმა ჩაიქროლა, მაგრამ არცერთს არ გამოვკიდებივარ.

მე გეძებდი მხოლოდ შენ.

გეძებდი და ვერ გპოულობდი. ვერ გპოულობდი და დაღვრემილი ვბრუნდებოდი სახლში.

ჩვენ ხელმეორედ ქარხნის შესვენების საყვირმა შეგვახვედრა. საოცარია, თურმე ერთად ვმუშაობდით, ერთ შენობაში გვიხდებოდა ყოფნა, მე კი სხვაგან დაგეძებდი, შენ უკვე ვარდისფერი კაბა გეცვა, ზემოდან თეთრი ხალათი.

მიცანი? მგონი მიცანი, ანდა გაგახსენდა, რომ სადღაც გენახე.

მერე რა მოხდა! გაზაფხულზე ბევრ ვაჟს შეუძლია გოგონას გაუწოდოს ლურჯი ია. გოგონამ გამოართვას, მადლობა გადაუხადოს და წავიდეს. წავიდეს, როგორც შარშანდელი თოვლი.

არა, შენ ისე მიყურებდი, როგორც ადამიანს, რომელიც სადღაც, ძალიან ახლოს გენახა.

— ლაბორატორიაში ვმუშაობ, ტექნიკურ ლაბორატორიაში, — თქვი შენ და მას შემდეგ ამ ლაბორატორიის სარკმლებმა მიძმეს.

დანარჩენი შენ არ იცი.

შენ არ იცი და არც მსურს იცოდე, რამდენი ღამე გამითენებია შენზე ფიქრში, რამდენჯერ საკუთარი თვალით მინახავს, როგორ თენდება.

მეყოფა ნანა, მეყოფა“.

* * *

დილით გვიან გამეღვიძა. თითქოს ვიღაცამ უხეშად დამირღვია ტკბილი ძილი. ისევ მოვხუჭე თვალი, მაგრამ ვეღარა და ვეღარ დავიძინე.

— ნანა. — ვთქვი ჩურჩულით.

არ მიპასუხა.

— ნანა.

სიცარიელე ვიგრძენი.

— ნანა, ნანა!

წამოვხტი, სასწრაფოდ გადავიცვი და ეზოში გავვარდი.

თვალებით ვეძებდი ყველგან, აღარ დამიყვირია, მეზობლების მერიდებოდა. ვიდექი როგორც ქარისაგან გაძარცული მუხა.

სამზარეულოს კარის ჭრიალმა გამომაფხიზლა.

მაშინვე სახლში შევვარდი.

—სად იყავი, ნანა?

— მეძებდი?

— არა... ისე... სამზარეულოში იყავი?

— ჰოო.

შემრცხვა.

აბა, სად უნდა წასულიყო ჩემი ნანა. ჩემს პერანგს აუთოებდა თურმე და საუზმესაც ამზადებდა. ვერ გაიგო ჩემი ხმა, ალბათ. არც მითქვამს, რომ ვუძახდი და ვეძებდი.

ჩემს პატარა დიასახლისს ძალიან უხდებოდა წინსაფარი. სწორედ ისეთი იყო, ადრე რომ მყავდა წარმოდგენილი.

ვეღარ მოვითმინე და ავიტაცე.

— დამსვი.

— არ დაგსვამ.

— დამსვი, სირცხვილია.

— ვისი გრცხვენია, ჩემს მეტი ვინ არის აქ?

— უთო მაინც გამორთე.

უთო გამოვრთე.

ნანა გამექცა.

დიდხანს დავდევდი, მაგრამ ვერ ვიჭერდი.

მერე ორივენი დავიღალეთ, მაგიდის სხვადასხვა მხარეს ვიდექით და ერთმანეთს შევყურებდით თვალებში. ნანას შუბლზე ჩამოსწეწოდა თმა და უფრო ამშვენებდა ეს.

— სახლი მაინც მივალაგო.

—რა გეჩქარება?

— იქნებ ვინ მოდის?!

— ამ დილაადრიან არავინ მოვა.

— უკვე თერთმეტი საათი ხდება. ხელად მივალაგებ, რაა?

დავთანხმდი.

სარკმელთან დავდექი და უხმოდ ვადევნებდი თვალს მის ყოველ მოძრაობას.

— ეგრე ნუ მიყურებ.

— აბა როგორ გიყურო?

— სამზარეულოში გადი, აქ მტვერია.

— თუ კი შენ ყლაპავ მტვერს?

— მე ქალი ვარ.

არსადაც არ წავსულვარ.

ვიდექი და უხმოდ ვადევნებდი თვალს მის ყოველ მოძრაობას. არ უკითხავს ამ ნივთს სად დებდი, ამას სად ჰკიდებდი, ამას სად ინახავდიო. ყველაფერს მიუჩინა თავისი ადგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველარ ვცნობდი ჩემს ოთახს, რაღაც ახალი შემოიტანა ნანამ სახლში და მაიძულა მზრუნველი თვალით შემეხედნა იმ ნივთებისთვისაც კი, რომლებსაც წლობით ყურადღებას არ ვაქცევდი.

საწერ მაგიდაზე თეთრი სპილოს პატარა ქანდაკება მედგა. ამ თეთრ სპილოს რომ ვუყურებდი, ვისვენებდი, სულიერად ვმშვიდდებოდი. ეს უტყვი ქმნილება ყოველთვის კეთილ სურვილებს და ზრახვებს აღვიძებდა ჩემში. ნანასაც ძალიან მოეწონა. ქანდაკება ცალ ხელში დაიკავა და მეორეთი ფრთხილად გადაუსვა ხორთუმს ხელი.

— ხომ კარგი რამეა? — ვუთხარი ღიმილით.

— კარგია, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— უკეთესი ადგილი მოვუნახოთ.

— სად დავდგათ?

ნანამ მიმოიხედა. უკეთეს ადგილს ეძებდა.

— ვიცი, რომ ამისთანა რამეს როიალზე ან ტრილიაჟზე დგამენ, მაგრამ სადაა ან ერთი. ან მეორე...

— გვექნება! — თქვა ნანამ.

— ერთი ანდაზისა არ იყოს, ცხენი და სამი ნალი-ღა გვაკლია.

სხვებივით სავსე ოჯახი არ დამხვედრებია მეუღლისათვის. ჩემი ბრალი არაა ეს:

დედა ძალიან ადრე გარდამეცვალა, ტკბილი სიზმარივით მახსოვს მხოლოდ. მამა ორმოცდაერთის ჩქარ მატარებელს გაჰყვა. წავიდა ისე, როგორც რაიონში მცხოვრები რკინიგზელი, რომელიც საღამოს მიყვება მატარებელს და დილით ისევ ჩამოდის.

მატარებლები მიდი-მოდიან.

მგზავრები ადი-ჩამოდიან.

მამა კი არ ჩანს.

არ მსურს დავიჯერო მისი დაღუპვის ამბავი.

მე ველოდი მას, ველოდი წასვლის დღიდან. ამ მოლოდინმა გამზარდა. სხვისი დაყვედრებული ლუკმა მაინც არ მიჭამია. პატარაობიდანვე მომიხდა საკუთარი შრომით საარსებო წყაროს ძებნა. ჯერ ქარხანაში მოვეწყე და მღარავის პროფესია შემასწავლეს, მერე სახარატო საქმემ გამიტაცა.

ახლა ხარატად ვმუშაობ და მიხარია, რომ რაღაცას ვქმნი. გინახავთ, ქართული ელმავალი როგორ მიშხუის ციმბირის ფოლადის გზებზე? მოუბით ვაგონი ასი, თუნდაც ათასი. გაიწევს და დაძრავს, დაძრავს და გააქანებს. ხმაც ვაჟკაცური აქვს, რომ დააბუბუნებს, ტაიგაში ზვავები ჩნდება.

მიხარია, რომ ამ ვეებერთელა ელმავალში ჩემს მიერ გამოჩარხული დეტალებიც ურევია, მიხარია და მიკვირს კიდევაც.

— გვექნება! — თქვა ნანამ და სპილოს ქანდაკება ჯერჯერობით ძველ ადგილზე დადგა.

* * *

მთაში დნობა იწყო თოვლმა.

აიმღვრა მტკვარი,

აიმღვრა და ადიდდა.

ახითხითდა ნუში.

იებისაგან გალურჯდნენ ქუჩები.

პირველად შევხვდით ერთად მე და ნანა გაზაფხულს.

ვის არ უყვარს გაზაფხული? მაგრამ მე განსაკუთრებით ის მომწონს, რომ ადამიანები გაზაფხულზე თითქოს ახლად იბადებიან. ავიწყდებათ ასაკი, ავიწყდებათ დარდი.

გაზაფხულმა იმდენად გამოცვალა ნანა, რომ ველარ ვცნობდი.

თვალებში ზიზღნარევი შიში შეეპარა და ყველაფერს გულგრილად დაუწყო ყურება; პატარა მიზეზი საკმარისი იყო, რომ ანერვიულებულიყო.

მიკვირდა.

ძალიან მიკვირდა.



მხატვარი დია სვანიძე

„ნუთუ შეიძლება ასე სწრაფად და საოცრად გამოიცვალოს ადამიანი?

არა, ნანას უთუოდ მოვბეზრდი.

მოვბეზრდი, როგორც ათასჯერ ნათქვამი ერთი და იგივე სიტყვა".

ვფიქრობდი და გული მტკიოდა.

მაგრამ ეს ცვალებადობა, ჟინიანობა დრო და დრო გაუვლიდა და ჩემს წინ ისევ ის ნანა იდგა, თავისი მომხიბვლელი ღიმილით და თვალების ციმციმით.

— შენ რაღაც გაწუხებს და მიმალავ. — ვუთხარი ერთხელ.

— რა გითხრა? მეც არ ვიცი.

— ძალიან გთხოვ, ნუ დამიმალავ.

— ალუჩა მინდა, გაგა. — თქვა უცებ ნანამ.

— რაა?

— ალუჩა, მკვახე ალუჩა. — კბილები აუკაწკაწდა.

— შენ ხუმრობ, ნანა. რა დროს ალუჩაა ამ ნაადრევ გაზაფხულზე.

ნანა სრულიადაც არ ხუმრობდა.

უეცრად ფერი დაკარგა, წაბარბაცდა და რომ არ მივშველებოდი, ალბათ წაიქცოდა.

— რა გემართება, ნანა... ექიმს გამოვუძახებ ახლავე.

— არა, არა!

ცოტახნის შემდეგ ისევ დაუბრუნდა თავისი სახის ფერი, თვალები აუციმციმდა და მორცხვად თქვა:

—მოდი, რაღაც გიჩურჩულო.

— ხმამაღლა თქვი, ნანა, ჩვენს მეტი ხომ არავინ არის სახლში.

— გაგა, მოდი გიჩურჩულო.

ახლა გასაგები გახდა ჩემთვის ყველაფერი.

ახლა აღარ მტკიოდა გული ნანას ხასია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის ცვალებადობაზე, პირიქით, მიხაროდა, ძალიან მიხაროდა.

ჩვენ ხშირად დავდიოდით სასეირნოდ.

სუფთა ჰაერი ძალზე კარგად მოქმედებდა მასზე.

დავდიოდით ხალხმრავალ ქუჩებში და გვეგონა, რომ მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნოდა ეს ქუჩები.

ვისხედით ნაძვნარში და გვეგონა, რომ ჩვენს მომავალზე ფიქრობდნენ უტყვი ნაძვები.

ვიცინოდით სრულიად პატარა რამეზე, გვეჩვენებოდა, რომ ძალიან სასაცილო რაღაც გვითხრეს.

მერე ვუამბობდი ნანას, რა თქმა უნდა როგორც ვიცოდი, თუ როგორ წარმოიშვა სიცოცხლე დედამიწაზე; პირველი ახალგაზრდა ცოლქმარი როგორ მოუთმენლად ელოდნენ პირველ შვილს, რომელსაც უნდა დაემკვიდრებინა სიცოცხლე დედამიწაზე, რომელსაც ცეცხლი უნდა გამოეტაცნა მრისხანე ღმერთისათვის და გაეთბო დედამიწა.

ნანა მისმენდა.

მისმენდა გატაცებით.

ხანდახან ღრმად ჩაფიქრდებოდა და დიდხანს დუმდა.

მე არ მომწონდა მისი დუმილი.

— თქვი რამე! — ვუთხარი ერთხელ

— რა ვთქვა?

— რაც გინდა ის თქვი, ოღონდ ნუ გაჩუმდები.

ნანა ერთხანს კიდევ დუმდა, მერე მოულოდნელად მკითხა:

— ვთქვათ, დაგიძახეს და გკითხეს... ხდება თურმე, იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება, როცა სერიოზულადაა საქმე, ქმარს ეკითხებიან...

— რას ეკითხებიან?

— მეუღლეს არჩევს, თუ შვილს.

— რა სულელური კითხვაა.

—ან მეუღლე უნდა დაიღუპოს ამ შემთხვევაში, ან შვილი.

— გაჩუმდი!

— მე გთხოვ, რომ შენ შვილი აირჩიო.

— გაჩუმდი!

ნანას მართლაც აღარაფერი უთქვამს. მე კი იმ დღიდან ყოველთვის რაღაც ხმა ჩამძახოდა ყურში:

„მეუღლე თუ შვილი“?

„ორივე!“

„ან ერთი, ან მეორე“.

* * *

— ორივე, ორივე, ორივეეე! — ვემუდარებოდი სამშობიაროს კედლებს, სარკმლებს, ვემუდარებოდი ეზოში მდგარ ცაცხვის ხეს. ვემუდარებოდი ყველას, ვისაც შეეძლო უსიტყვოდ გაეგო, რა ცეცხლი ენთო ჩემს გულში. ხმამაღლა ვერაფერს ვამბობდი, ეს მხოლოდ ჩემი ფიქრი და დარდი იყო, ჩემი საკუთარი ფიქრი და დარდი. საათნახევრის შემდეგ ნანას გოგო გაუჩნდა. არავის დაუსვამს ჩემთვის ის უაზრო კითხვა.

ერთხელ კიდევ რომ დაიწყებს თოვლი დნობას, აიმღვრევა მტკვარი, ახითითდება ნუში, ჩვენი გოგონა დაიწყებს პირველი, გაუბედავი ნაბიჯების გადადგმას.

ხან დაეცემა,

ხან წამოდგება და ისევ გაივლის.

ივლის დიდხანს,

ძალიან დიდხანს,

მერე დაიღლება და ჩაეძინება.

მერე ვივლი მე,

ივლის ნანა,

და ჩვენ ვივლით ძალიან ბევრს.

ჩვენ არ გავაჩერებთ ხელს,

რომ ჩვენს გოგონას უკლებლივ ჰქონდეს საზრდო.

რომ ჩვენი გოგონა, რომ სხვების გოგონები და ბიჭუნები გაიზარდონ ლაღად, თამამად და თავისუფლად.



# ნანა რას ჰქვია!

ეზოში მუხნარის პატარა ტყეა. ტყისგული ნაცრისფერ გზას გადაუსერავს. ამ გზას აჰყვებით, ბუჩქებიდან გვირილები გამოგვყურებენ მზერას. აღმართს აათავებთ და ორსართულიან ქვის შენობას მიადგებით.

№ 1 საავადმყოფო ქუთაისის პირველი სამედიცინო კერაა. განიერი კიბის საფეხურებს რომ აივლით, თუ ნინა ჯოლოგუას იკითხავთ — ჩვენი ნინა? — შემოგეგებებთ პირველივე შემხვედრი.

ის ამ საავადმყოფოს მთავარი ფერშალია. მის თვალებში მუდამ ცეცხლოვანი ღიმილი ბრწყინავს. ერთი შეხედვით მკაცრია, შუბლშეკრული, მაგრამ, აბა, გული ნახეთ!

— ოქროს გული აქვს ჩვენს ნინას, ოქროს მარჯვენა. სამი ათეული წელია ვიცნობ, ბავშვი იყო, ნაწნავები წელზე ურტყამდა, ჩვენთან რომ მოვიდა, აქ ჩვენს თვალწინ დაქალდა, — გიამბობთ ჭაღარა მეტაბელე ლუბა უკლება. — მისი სამსახური ცხრა საათზე იწყება, — მაგრამ რვის ნახევარზე ჩემთან ერთად მოდის, ხან დამასწრებს კიდეც. სწრაფად შემოივლის პალატებს, სამზარეულოს, ამოწმებს ბუფეტს, როდესაც მთავარი ექიმი ვახტანგ გიორგაძე მოდის, ნინას ყველაფერი წესრიგში აქვს მოყვანილი...

...1935 წელს 17 წლის გოგონამ წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელი და მოკრძალებით შეაღო საავადმყოფოს კარი. პრაქტიკაზე ყოფნის დროს მან საქმის ცოდნა და გულმოდგინეობა გამოიჩინა, ამიტომ ინფექციური განყოფილების მედდის თანამდებობაზე დანიშნეს.

აქ მან მალე დაიმსახურა როგორც ავადმყოფების, ასევე ექიმების პატივისცემა. ვინ მოთვლის, მძიმე ავადმყოფებს სასთუმალთან რამდენი ღამე გაუტეხია, რომ ზუსტად შესრულებია ექიმის დანიშნულება.

დაუღალავ შრომასთან ერთად ნინა დიდი ენთუზიაზმით ასრულებდა საზოგადოებრივ დავალებებს, იყო კედლის გაზეთის — „მკურნალის“ რედაქტორი. კომკავშირის კომიტეტის წევრი და აგიტატორი.

დღემდე საავადმყოფოს არქივში შენახულია კომკავშირული კრებების ფერგადასული ოქმები, რომლებიც ბევრს მოგვითხრობენ ნინას საზოგადოებრივი მუშაობის შესახებ.

სამამულო ომმა ნინა მშობლიურ ქალაქსა და საყვარელ საქმიანობას დროებით მოწყვიტა.

ომის დაწყების დღიდან მოხალისედ წავიდა ფრონტზე. ეს სურვილი შემთხვევითი არ ყოფილა: ის ხომ ძველი რევოლუციონერის — ბენიამინ კონსტანტინეს ძე სიჭინავას ოჯახში აღიზარდა.

ბავშვობაში ბენიამინი მას ხშირად უამბობდა სამეგრელოს გლეხთა აჯანყების შესახებ, რომლის მონაწილე თვითონ იყო. უამბობდა, როგორ იბრძოდა იარაღით ხელში საშა გეგეჭკორის რაზმში მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

... ახლა ქერჩში მიწას ცეცხლი ეკიდებოდა, ციდან ტყვიები წვიმდა, ირგვლივ კვნესა და გოდება ისმოდა. მტრის თვითმფრინავები ზღვაზე ყოველ საბჭოთა გემს დასდევდნენ — სულერთი იყო საომარი და სანიტარული. ხშირად დაჭრილების გემზე გადაყვანისას ცხადდებოდა საჰაერო განგაში. ჯოჯოხეთი ტრიალებდა სანაპიროზე, მაგრამ ნინა ერთი წუთითაც არ ტოვებდა მძიმე დაჭრილებს.

დიდი და მღელვარეა ნინას საბრძოლო ცხოვრების წიგნი. რომელ ფურცელს გადაშლით, რომ აუთრთოლებლად ჩაიკითხოთ!

9 მაისმა ის მშობლიურ ქალაქს დაუბრუნა. მიუხედავად შერყეული ჯანმრთელობისა, ძველებური ენთუზიაზმით განაგრძო მუშაობა № 1 საავადმყოფოში, ამავე დროს ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მუშაობასთან ერთად უმაღლესი განათლებაც მიიღო.

1962 წლის აპრილში ნინა ჯოლოგუა № 1 საავადმყოფოს გაერთიანების მთავარი ფერშლის თანამდებობაზე გადაიყვანეს, სადაც დღემდე ენერგიულად მუშაობს. იგი ამავე დროს გაერთიანების ადგილკომის თავმჯდომარეა, დაუზარებლად ემსახურება 600-წევრიან ორგანიზაციას.

ნინა აქტიურ მონაწილეობას იღებს ავადმყოფთა დიეტ-ულუფების გაუმჯობესებაში. სისტემატურად უტარებს კონსულტაციებს დაბალ პერსონალს, ასწავლის ავადმყოფთა მოვლასა და პალატებში სანიტარული-ჰიგიენური პირობების დაცვას.

ამ საავადმყოფოში მუშაობის 28 წლის მანძილზე ნინა ჯოლოგუამ გამოიჩინა საქმისადმი სიყვარული და პატიოსნება. ენერგიული და მუყაითი მუშაობით მოიპოვა კარგი ავტორიტეტი.

ყოველივე ამისათვის ნინა ჯოლოგუა შეტანილია საავადმყოფოს საპატიო დაფაზე.

გასულ წელს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ნინა ჯოლოგუა ჯანმრთელობის დაცვის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

ფუსფუსში გადის დღეები, კვირეები, წლები. დაღლა? დაღლა რას ჰქვია! საავადმყოფოს თეთრ კედლებში, იქ სადაც ადამიანის სიცოცხლისათვისაა ბრძოლა, ნინა ჯოლოგუა დაღლას როგორ იგრძნობს...

**ეთერ ჟორჟოლიანი,**

ქუთაისი.



ნინა ჯოლოგუა (მარჯვნივ) ამოწმებს დიეტ-ულუფას.

# „მთის ქალი"

მე-19 საუკუნის მიწურულში, გაზეთ „კვალში" ახალგაზრდა მწერალი ქალი გამოჩნდა. ერთობ მოკრძალებულმა არაგველმა ქალიშვილმა ორიგინალური ლიტერატურული ფსევდონიმი — „მთის ქალი" აირჩია.

„კვალის" მესვეურებმა, ცოლ-ქმარმა ანასტასია და გიორგი წერეთლებმა სიამოვნებით დაუთმეს თავიანთი გაზეთის ფურცლები „მთის ქალის" მოთხრობებსაც.

ავტორმა „კვალის" რედაქციას 1897 წელს დასაბეჭდად გადასცა ორი მოთხრობა: „ნინიას კერა" და „მეც თან წამიყვანეთ", რაც „კვალში" 1898 წელს დაიბეჭდა.

ამ დროს მწერალი ქალი უკვე ცოცხალი აღარ იყო. ასე რომ, ბედით გაუხარელს, თავისი ნაწარმოები დაბეჭდილი თვალით არ უნახავს.

ვინ იყო „მთის ქალი"? ეს იყო ფსევდონიმი ოლღა დედაბრიშვილისა, რომელიც გამოჩენილი ქართველი პროზაიკოსის შიო არაგვისპირელის (დედაბრიშვილის) მკვიდრი და იყო.

ოლღა დედაბრიშვილი 1874 წელს დაიბადა არაგვის ხეობაში, დუშეთის მაზრის სოფელ ქარისხევში, იგი სასკოლო ასაკამდე ოჯახში იზრდებოდა, შემდეგ კი მშობლებმა თბილისის ეპარქიალურ სასწავლებელში შეიყვანეს. სწავლადამთავრებული ოლღა დედაბრიშვილი გატაცებით შეუდგა ქართული კლასიკური ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის გაცნობას. ნიჭიერმა ქალმა კარგად შეისწავლა როგორც ძველი, ისე ახალი ქართული ლიტერატურა.

„მთის ქალი" ბავშვობიდანვე სოფლად იზრდებოდა, აკვირდებოდა ხალხის ცხოვრებას, კარგად ესმოდა მშრომელი გლეხის ჭირ-ვარამი, ამიტომაც ნახული და განცდილი მას თავის მოთხრობებში გადაჰქონდა და ცხოვრების მართალ სურათებს ხატავდა.

„მთის ქალის" მოთხრობებში ასახულია ქართველი მშრომელი გლეხის მდგომარეობა მე-19 საუკუნის დასასრულს. ამიტომაც შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოს ადამიანმა მწერლის მოთხრობები: „ნინიას კერა" და „მეც თან წამიყვანეთ".

მთლად ახალგაზრდა იყო ოლღა დედაბრიშვილი, როდესაც უკურნებელმა სენმა, ჭლექმა შეიპყრო და ლოგინს მიაჯაჭვა. წლების მანძილზე ებრძოდა იგი ამ სენს. ბოლო დროს აბასთუმანშიც იყო სამკურნალოდ, მაგრამ მაინც არაფერი ეშველა. ნიჭის სრული გაფურჩქვნის დროს, 1897 წელს, 23 წლის ასაკში, იგი ავადმყოფობამ იმსხვერპლა. დაკრძალული იქნა სოფელ წილკნის მონასტერში.

მწერალი ქალის უდროო სიკვდილმა დიდი მწუხარება გამოიწვია ხალხში. ვინ იცის, რამდენი ოცნება, რამდენი ლიტერატურული ჩანაფიქრი გაიყოლა თან ახალგაზრდა მწერალმა ქალმა?

**ვახტანგ სიდამონიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლესია უკრაინკა



მხატვარი უჩა ჯაფარიძე

„ვინც ქარიშხალში არა ცხოვრობდა,
ძალ-ღონის ფასი მან ჯერ არ იცის“.

ლ. უკრაინკა

გამოჩენილი უკრაინელი პოეტი ქალის შემოქმედება ალსავსეა მხნე და ვაჟკაცური სულისკვეთებით. მისი სახელი დიდი ტარას შევჩენკოსა და ივანე ფრანკოს გვერდით დამკვიდრდა, რადგან ლესია უკრაინკამ მათსავით ხალხის განთავისუფლების საქმეს შესწირა მთელი თავისი პოეტური შთაგონების ძალა. გმირული პათოსით და მებრძოლი სულით იყო გამსჭვალული მისი ცხოვრება და შემოქმედება.

„ვინ თქვა, — სუსტი ვარ, არა მაქვს ძალა,
ან ჩემი ბედის რომ ვარ მორჩილი?!“ —

ამბობდა პოეტი ქალი და ერთხელ არჩეული გზიდან არასოდეს გადაუხვევია.

სულ 42 წელი იცოცხლა ლესია უკრაინკამ: დაიბადა 1871 წლის 25 თებერვალს, ნოვოგრად-ვოლინსკში, გარდაიცვალა 1913 წლის 31 ივლისს, სურამში. ამ ხნის განმავლობაში მძიმე სენით დაავადებული, სანახევროდ ლოგინად იყო ჩავარდნილი და საოცარია რაოდენ ფხიზლად ადევნებდა თვალყურს იმდროინდელი ბობოქარი ცხოვრების მაჯისცემას ან რა ენერგიით მისდევდა ფეხდაფეხ მოწინავე იდეებს და ბოლომდე შერჩა მტკიცე რწმენა მშრომელი ხალხის გამარჯვებისა.

პატარაობისას საფუძვლიანი აღზრდა-განათლება მიიღო მომავალმა პოეტმა ქალმა. მისი ოჯახი მოწინავე უკრაინელი ინტელიგენციის წრეს ეკუთვნოდა. დედა მწერალი ჰყავდა, ოლენა პჩილკას ფსევდონიმით აქვეყნებდა ლექსებს.

მათ ოჯახში ტრიალებდა ბევრი პროგრესული მოღვაწე, რომლებიც მსჯელობდნენ, კამათობდნენ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. პატარა გოგონა ადრე გათვითცნობიერდა, ადრევე გაეღვიძა პოეტური ნიჭი. ლესია უკრაინკა მისი ფსევდონიმია, ნამდვილი სახელი კი არის ლარისა პეტრეს ასული კოსაჩი. ბავშვობაში გოგონა უკრაინელი გლეხის გოგო-ბიჭებში ტრიალებდა, ისმენდა მოხუცებისაგან ზღაპრებს, თქმულებებს, მშვენიერ ხალხურ სიმღერებს. მან ღრმად შეიყვარა თავისი ხალხი და ფსევდონიმიც „უკრაინკა“, ანუ „უკრაინელი“ ამიტომ დაირქვა.

რვა წლის ასაკში ლესიამ ლექსი „იმედი“ მიუძღვნა თავის მამიდას ელენე კოსაჩს, რომელიც რევოლუციური მოღვაწეობისთვის ციმბირში იყო გადასახლებული. ამ ლექსმა ჩვენამდე მოაღწია, ცამეტი წლისამ კი ლვოვის ჟურნალში გამოაქვეყნა ლექსი „კონვალია“ („შროშანი“), რომელიც დღეს ყველა მის კრებულს ამშვენებს.

თავდავიწყებით ეწაფებოდა მოზარდი ლესია რუსი და უკრაინელი მწერლების წიგნებს. შემდეგში ის თავისუფლად ფლობდა ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, იტალიურ, ბერძნულ, ლათინურ ენებს და ევროპის დიდ კლასიკოსებს დედნებში კითხულობდა.

მაგრამ მძიმე ხვედრი არგუნა ბედმა: ძვლის

ლექსი გამოაჩნდა და მრავალგვარი მკურნალობის მიუხედავად, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ქალიშვილი თანდათან დაიჯაბნა სენმა. სამაგიეროდ უტეხი შერჩა სული; პოეტი ქალის უჩვეულო ნებისყოფამ თავისი გაიტანა, რადგან კაცთმოყვარების დიადი, ნათელი გრძნობა უძღოდა წინ და სჯეროდა, რომ:

„იქნებ ჩემს ჰანგსაც აქვს თავის საქმე.
ის დაამშვიდებს ტანჯულ კაცს სადმე.
ჰანგმა, ნამღერმა ამ ღია გულით
იქნებ აღანთოს ბედისგან კრული!“

90-იან წლებში ფართო საზოგადო ქღერადობა შეიძინა ლ. უკრაინკას პოეზიამ, — რომ ჭეშმარიტი პოეტი ხალხის მსახურია და მაღალი მისწრაფებებით უნდა აღანთოს ხალხის გული, რომ ყველაზე კეთილშობილი მოწოდება თავისუფლებისათვის ბრძოლაა:

„მე მარტო გავალ ქარიშხალში, და
ჩემი ძალღონით გაუმკლავდები“.

ეს იყო ახალი სიტყვა უკრაინულ პოეზიაში, ეს იყო ფხიზელი შეფასება პოეზიის ამოცანებისა და დანიშნულებისა, — როგორც აღნიშნავდა მაშინ ივ. ფრანკო. ეს იყო საყვედურიც ეგრეთწოდებულ „წმინდა ხელოვნების“ მიმდევარი დეკადენტობის მიმართ, რამაც ფეხი მოიკიდა მაშინ და აღიარებდა „ხელოვნებას ხელოვნებისთვის“. ჭეშმარიტი დემოკრატიული, რევოლუციური ხელოვნება კი უნდა მისდევდეს მხატვრული რეალიზმის ტრადიციებს. ხოლო მხატვარი — რეალისტი მიზნად უნდა ისახავდეს თანამედროვეობის მაღალსა და საჭირბოროტო პრობლემებს.

სამშობლოს მხურვალე სიყვარულის თემა ლესია უკრაინკას პოეზიაში შერწყმულია მისი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის თემასთან.

ცხრაასიანი წლების დასაწყისი ახალი იდეური ამაღლობით აისახა უკრაინკას შემოქმედებაში, უმთავრესად მის დრამებში. მწერალი ქალი შეგნებულად ქმნიდა თავის დრამებს ბიბლიურ ან ძველ რომაულ სიუჟეტებზე. ამით ნიღბავდა თავის სათქმელს იმდროინდელი ცხოვრების საკითხებზე.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საუკეთესო დრამა ლესია უკრაინკამ საქართველოში ყოფნის დროს შექმნა. მაგალითად, „ქვის ბატონი“ და „ტყის სიმღერა“ მან ქუთაისში დაწერა 1911 წელს.

პოეტი ქალისათვის მეტად ახლობელია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეა. იტალიაში, გენუის მიდამოებში ქარხნის მილებიდან ამოსული კვამლის დანახვაზე მას აღმოხდა:

„იმ ქარხნის კვამლი გულშიც გამიჯდა
და ჩემი თავი უცხოეთში აღარ მგონია“.

ლესია უკრაინკამ შეისისხლხორცა მარქსიზმის იდეები. ამ იდეებმა გამოხმაურება ჰპოვა მის პოეზიაში. 1902 წელს დაწერილ ლექსში „რა იქნენ სიმები?!“ გამოთქმული აქვს ასეთი აზრი:

„დანტეს ჯოჯოხეთის
ცეცხლი სწვავს ქვეყანას,
მაშ, რატომ არა გვყავს დანტე?“.

ეს სტრიქონები გამოძახილია „კომუნისტური მანიფესტის“ ერთერთი წინასიტყვაობისა: „...თანამედროვე კაპიტალისტური ხანის დასაწყისი უდიდესი პიროვნებით არის აღნიშნული. ეს არის დანტე... ახალი დროის პირველი მგოსანი. ამჟამად... ახალი ისტორიული ხანა დგება. მოგვცემს კი იტალია ახალ დანტეს, რომელიც ამ ახალი, პროლეტარული ხანის შობის საათს აღბეჭდავს?!“

1905 წელს თბილისიდან გაგზავნილ წერილში ლესია უკრაინკა დაწვრილებით მოუთხრობს დედას საქართველოს მუშების და გლეხების მდგომარეობაზე, სწერს ხალხის მღელვარებაზე, გურიისა და ცხინვალის აჯანყებებზე, იმავე წლის 6 თებერვალს კვლავ ატყობინებს: „თბილისში დიდი გაფიცვებია, ყველა სასწავლებელში ამბოხებაა. ხშირია შეჯახება პოლიციასთან... ქვაფენილებზე ადამიანთა სისხლის გუბეებია... აბა, რა მშვიდობიან თემაზე შეიძლება წერა?!“

ბედმა ასეთ ბობოქარ დროს დააკავშირა ჩვენთან პოეტი ქალი. ის 1903 წლიდან დროგამოშვებით იმყოფებოდა საქართველოში — თბილისში, თელავში, ქუთაისში. დიდად აინტერესებდა ქართველი ხალხის ისტორიული წარსული, მისი კულტურული და პოლიტიკური ცხოვრება. მას ჰყავდა გულითადი მეგობრები საქართველოში, რომლებსაც ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს კიევში ყოფნისას იცნობდა. მათთან სულიერად აკავშირებდა რევოლუციური აზრები. ისინი ერთად ოცნებობდნენ და ილწვოდნენ მონარქიული რეჟიმის დამხობისათვის, ჩაგრული ხალხის განთავისუფლებისათვის.

ერთი მათგანი იყო პროგრესული პედაგოგი და პუბლიცისტი შიო ჩიტაძე, რომელსაც დიდი სიყვარულით იხსენიებდნენ მისი კიეველი და თბილისელი მოსწავლეები. ის იყო ნათელი გონების და სპეტაკი ზნეობის ადამიანი, მგზნებარე პატრიოტი. შიო ჩიტაძეს ცოლად ჰყავდა უკრაინელი ქალი უსტინია შჩერბანი, რომელიც ლესია უკრაინკას მეგობარი იყო. მან ვერ გადაიტანა მეუღლის მხეცური მკვლელობა ჟანდარმების მიერ და ტრაგიკულად დაამთავრა სიცოცხლე 1906 წლის ზაფხულში.

როგორც ყველა ჭეშმარიტი მწერალი, ლესია უკრაინკა შავბნელი რეაქციის წლებში გამსჭვალული იყო მომავლის რწმენით. „თუნდა მომკალი, არ დაგნებდებიო“ — ეს იყო მისი მრწამსი. ოპტიმისტური სულით არის გასხივოსნებული მისი პოეზია.

„ეს სიმღერები ჩემს სამშობლოს კვლავ
გაახარებს,
ელვაზე უფრო გაანათებს ბნელეთს და
წყვდიადს“.

სიკვდილის წინ, ეგვიპტიდან დაბრუნებულმა პოეტმა ისევ საქართველოს მოაშურა სამკურნალოდ. თითქოს სწორედ აქ სურდა ეთქვა თავისი გედის სიმღერა:

„აწ გვიანაა... როგორ დავბრუნდე
იმ ქვეყანაში, სადაც ოდესღაც
მიცნობდნენ, როგორც გულდაუცხრომელს,
და ამყარებდნენ ჩემზე იმედებს?“ —

სურამში, ზინდისში, სადაც გარდაიცვალა ლესია უკრაინკა, გახსნილია მისი სახელობის სახლმუზეუმი, აღმართულია მისი ძეგლი. თბილისში ერთერთ ქუჩას ლესია უკრაინკას სახელი ჰქვია.

მაგრამ ამით არ ამოიწურება ქართველი ხალხის მეგობრობა მოძმე უკრაინელ ხალხთან წარსულში. ცხრაასიანი წლების ქართველ-უკრაინელი ინტელიგენციის ურთიერთობის უამრავი ფაქტებია ცნობილი. ორ ხალხთა შორის მეგობრობა და ძმობა კიდევ უფრო მტკიცე და გაუტეხელი გახდა ჩვენს დროში.

ამ რამდენიმე წლის წინათ დავით გურამიშვილის ძეგლის გახსნაზე ქართველი მწერლები ჩავედით უკრაინაში. ვიდრე ქალაქ მირგოროდში გავემგზავრებოდით, კიევში, ბაიკოვის სასაფლაოზე ლესია უკრაინკას საფლავი ყვავილებით შევამკეთ და თავი მოწიწებით დავხარეთ სახელოვანი პოეტი ქალის წინაშე, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა განუყრელად არის დაკავშირებული საქართველოსთან.

**მაყვალა მრევლიშვილი**

**ნელი გაბრიჩიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



### ციკლიდან „პოლონეთის გზებზე“

## ორ ვარშაველ გოგონას

რაღაც სხვა უნდა შეხვედრას ასეთს,
სხვა უნდა რაღაც, სხვა სამკაული,
თქვენც ალბათ ჩემზე ფიქრები გავსებთ,
როდესაც ვისლას გვერდით ჩაუვლით.

როგორც ტოტები მწვანე და სწორი
დაგშორდებიან ქარში ულმობლად,
ისეა თქვენი ხელები შორი
და თვალთა მშვიდი მოხაზულობა.

და ხმები — წვიმა მზეში მოსული,
თმები — ბავშვური გადამეტებით,
რაღაც სიტყვები ოდნავ რუსული,
რაღაც წუხილი და იმედები.

და სახელების დახრა ფარული:
მარია, ჰელენ,
ჰელენ, მარია...
რაღაც მართალი, რაღაც მგზავრული,
რაც მენანება და მიხარია.

• • •

უცხო რამ ქვეყნის ნაპირებს მივდევ,
უცხო რამ წყალთა სანაპიროებს,
მე ვარ ფრინველი შორეულ მხრიდან
და არსად შევხვდე მონადირეებს.

და არის სივრცე ქართა დამტევი,
სიმღერით ქარებს ვეხმაურები,
ვერ დავატყვევე არგონავტები,
ვერც ბალტიელი მეზღვაურები.

მოი, როგორღაც მოხდა პირიქით, —
მკლავს სიყვარული ლამაზი ვისლის,
და ჩემი ტანი—ვერცხლის ბილიკი
ანათებს მზეზე და ფერებს იცვლის.

## საღამო

პურს და ყვავილებს ყიდულობს ქალი,
და აქვს ხელები სინათლის ფერი.
მოულოდნელი ღიმილი იგი, —
პურს და ყვავილებს ყიდულობს ქალი.

საღამო დგება სულ სხვა ზოლებით,
ხელზე ამბორის და სანთლის ჟამი,
არა შავ კაბას, არა ხელთათმანს,
პურს და ყვავილებს ყიდულობს ქალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი სტამატოვი

# ვილა ზღვის პირას

მხატვარი გ. კასრაძე

გიორგი სტამატოვი (1869-1942) კრიტიკული რეალიზმის საუკეთესო წარმომადგენელია ბულგარულ ლიტერატურაში. იგი დაუნდობლად ამხელდა ბურჟუაზიული საზოგადოების მორალურ მანკიერებას, რისთვისაც მონარქიული ბულგარეთის მმართველი წრეები ყოველთვის ზღუდავდნენ მის ლიტერატურულ მოღვაწეობას. ამჟამად გიორგი სტამატოვის შემოქმედება ფართო პოპულარიზაციის ობიექტს წარმოადგენს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში.

„ვილა ზღვის პირას“ მოგვითხრობს ორი ახალგაზრდის სიყვარულის შესახებ და გვიჩვენებს, თუ როგორ ამახინჯებს ფული ადამიანურ გრძნობებს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

## მ ო თ ხ რ ო ბ ა

მზე ჩადიოდა. ისინი პარკში შევიდნენ.

— ძვირფასო, არსებობს განა ამ ქვეყნად სიყვარულზე ძლიერი და მიმზიდველი რამ? სხვა ყველაფერი ხომ წვრილმანია და არარაობა; არაფერია სიყვარულზე უფრო შემძლე და ლამაზი.

— არის, ჩემო საუნჯევ, არის.

— აბა, რა?

— შენ, ჩემო ლინა!

ბედნიერებით აღვსილმა ქალმა ვაჟს მკერდზე მიაყრდნო თავი.

— და მაინც არის სიყვარულზე უფრო ძლიერი რაღაც, — წასჩურჩულა ვაჟმა.

—რა?

— ფული.

— გრცხვენოდეს, საშა, მაგ სიტყვებისათვის! შენ...

მაგრამ ვაჟმა კოცნით ჩაახშო მისი პასუხი.

— მაინც როდის ვესტუმრებით, საშა, შენს ვილას?

— ჩვენს ვილას... როდის?... ხვალვე, თუ შენ გსურს.

— კეთილი. მე ჯერ არასოდეს არ მინახავს ზღვა. იგი ალბათ ისეთი უზარმაზარია და დიდებული...

— არც ისე, როგორც ჩვენი სიყვარული.

მზე ჰორიზონტს მიეფარა.

ერთმანეთისაკენ თავდახრილი მიჯნურნი სდუმდნენ.

ზღვა.

ზღვის პირიდან მოყოლებული მთის კალთაზე ლაღად გაშლილა ვრცელი პარკი. პარკში მოჩანს მაღალი ვილა ტერასებით. ირგვლივ ყვავილნარები, განიერი ხეივნები, რომლებიც სხვადასხვა ფერის წვრილი კენჭებითაა მოფენილი.

ვილიდან საშა და ლინა გამოდიან. ქალიშვილი ყოველ ნაბიჯზე ჩერდება.

— ღმერთო, რა სილამაზეა! ერთი ამ ყვავილნარს შეხედე: რა შორსაა გაჭიმული და თანაც სამფეროვანი — თეთრი, მწვანე, წითელი, თითქოს რაღაც გიგანტური ლენტიაო. მოდი, საშა! ეს ჩვენი სამფეროვანი ალამი იყოს!... აქეთ, აქეთ! აბა, აქედან გახედე ზღვას, რა მშვენიერი სანახაობაა! აგერ ის პაწია სახლი კი ნამდვილად შოკოლადის ყუთი გეგონება. ჩვენია, არა? ან ის გორაკი? ან ეს კოხტა ჭალა? ესენიც ჩვენია?

— სულ ჩვენია.

— ძვირფასო! სიხარულისაგან თავი მიბრუის. ოდნავ მაშინებს კიდეც — სიზმარი ხომ არ არის ყოველივე ეს.

— ეს ბედნიერება მართლაც რომ სიზმარია.

ლინამ ნაზად გაუყარა მკლავი.

ისინი გამოვიდნენ აბრეშუმივით სათუთი ბალახით დაფარულ ველზე, სადაც მრავალი მაღალი, ტოტებგაშლილი ხე ჰყვაოდა. მის კუთხეში ხელოვნური გამოქვაბული იყო, რომლის კედლებიც სარკეებით იყო მოფენილი.

გამოქვაბულის შესასვლელის პირდაპირ იდგა უშველებელი მრგვალი მაგიდა, ირგვლივ შემორიგებული სკამებით, ხოლო მის თავზე ელექტრონის ლამპიონები ეკიდა. შორს, ხეებს შორის ლურჯად მოჩანდა ზღვა.

ლინა თვალს ველარ აშორებდა მას.

— საშა, ეს ზღვაც ჩვენია?

— ზღვა არავისი არ არის.

ლინა გაიბუტა და დადუმდა.

საშა იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას და იჯდა მდუმარედ, გაუნძრევლად. სახეზე სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა აღბეჭდილი.

— რად მოიწყინე, ძვირფასო? ისიც აქ, ჩემთან, ამ საუცხოო ადგილას? რა დაგემართა?

— არაფერი.

— მეც კი თვალს მარიდებ! ნეტავ ეგ რაღას ნიშნავს? ალბათ, ზღვამ ან ამ მიდამოებმა რაღაც მძიმე წუთები გაგახსენეს.

—მძიმე კი არა, საზარელი!

ლინა წამოხტა და მასთან მიირბინა.

— არ მომეკარო!

ქალიშვილი გაფითრდა.

— საშა, შენ მე მაშინებ. მითხარი, რა მოხდა?

— შემზარავი რამ მოხდა, ლინა! მე რომ გიამბო ყველაფერი, ეს ტურფა ბუნება სასაფლაოდ მოგეჩვენება.

— ღმერთო ჩემო! არაფერი მესმის. შენ რაღაცას მიმალავ. მე მსურს, მე მოვითხოვ, რომ ყველაფერი მიამბო!

ქალმა მუხლებზე დაიჩოქა და სცადა ხელში აეღო მისი ხელი.

— ნუ შეეხები ბოროტმოქმედს!

ლინა წამოხტა.

— ბოროტმოქმედს?!

— კაცისმკვლელს!

— რას ამბობ, ავად ხომ არა ხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაჯექი და მომისმინე! დღეს, ალბათ, დაგკარგავ შენ, დავკარგავ ყველაფერს, მაგრამ ჩუმად ყოფნა კი აღარ ძალმიძს. ქალაქში კიდევ შემეძლო საიდუმლოების შენახვა, აქ კი საამისოდ ძალა აღარ შემწევს. ამ მიდამოებში მე ყოველთვის თან მდევს საშინელი აჩრდილი. შევყურებ ხეს და მელანდება მისი ნაღვლიანი სახე. ვუცქერი პაწია ყვავილს და ვხედავ მის ჩაფიქრებულ თვალებს. ვხედავ, თუ როგორ ამოდის ზღვის ტალღებიდან მისი თავი, მძიმე ნაოჭებით დაღარული შუბლით... ნუ შემაწყვეტინებ, ვიდრე აღსარებას არ დავასრულებ!... შენ მხოლოდ ის იცი, რომ მამაჩემი გარდაიცვალა და მისი ავლადიდება მე დამრჩა მემკვიდრეობით. ახლა ყველაფერი მე მეკუთვნის — ეს ვილა პარკით, სახლი ქალაქში, ფაბრიკა, მაგრამ წესით ყოველივე ეს სხვას უნდა რგებოდა. შენთვის არასოდეს არ მითქვამს, რომ მყავდა ძმა. სწორედ ის უნდა გამხდარიყო მთელი ამ სიმდიდრის მფლობელი, ვინაიდან მე მამაჩემის სიცოცხლეშივე გავანიავე ჩემი წილი ქონება. მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩემი ძმა მამაჩემზე ადრე გარდაიცვალა.

— ალბათ, ასე ენება უფალს.

— უფალს?! კი მაგრამ რატომ არ მეკითხები, რისგან გარდაიცვალა ჩემი ძმა?

— რისგან?

— ვერ ხვდები? იქნებ არ გჯერა?.. მე მოვკალი იგი! მოვწამლე... აი, აქ... გამოქვაბულში... ამ მაგიდასთან. ის სწორედ მანდ იჯდა, სადაც ახლა შენ ზიხარ. ჩვენ ვახშამს შევექცეოდით და ტკბილად ვმუსაიფობდით. უცბად მან სთქვა, თავს ცუდად ვგრძნობო — წავიდა წამოსაწოლად და აღარც ამდგარა... ახლა ხომ გასაგებია, რატომ არის ეს ყველაფერი ჩემი?.. მაშინ ვერავინ მიხვდა ჩემს საიდუმლოს. ახლა კი მხოლოდ მე და შენ ვიცით მის შესახებ. ეს არის სულ... მკვლელი არ არის შენი სიყვარულის ღირსი. თავისუფალი ხარ. შეგიძლია გადამცე ხელისუფლებას, თუ მოისურვებ. მე დაგკარგე შენ და ჩემთვის აღარაფერს არა აქვს მნიშვნელობა.

იგი გაჩუმდა და თავი ხელებში ჩარგო.

ლინა მტკიცე ნაბიჯით მივიდა მასთან.

— საშა... შენ მკვლელი ხარ, ბოროტმოქმედი... იქნებ, ეს ასეც იყოს. არ ვიცი. მაგრამ თუ შენ დამნაშავე ხარ — ეს მხოლოდ საზოგადოების წინაშე, კანონის წინაშე, ძმის წინაშე, და არა ჩემს წინაშე. მიცვალებულის აჩრდილი ვერ ჩადგება ჩვენს შორის. მიგატოვო?! არაფრის გულისთვის! ახლა, ამ აღსარების შემდეგ, უფრო მიყვარხარ. როგორ იტანჯებოდი, ალბათ, მარტო! ახლა კი ორივე ერთად ვიტანჯოთ. შენ საიდუმლო გამანდე და დღეიდან მეც შენი თანამონაწილე ვარ. ეს საიდუმლო სამუდამოდ დაგვაკავშირებს, ხოლო სიყვარული კი სინდისის ქეჯნას ჩაახშობს. შემომხედე, საშა! ჩემთვის შენ ისეთივე უმანკო ხარ, როგორიც უწინ იყავი... დაეხსენ მიცვალებულებს. ჩვენ მას ძეგლს ავუგებთ, პანაშვიდს გადავუხდით და აჩრდილიც თავს დაგვანებებს. აბა, რომელი ხელით ჩაუყარე შენ მას საწამლავი? მარჯვენით? მოიტა ვაკოცო. დეე, მთელმა ქვეყანამ დამნაშავეთ შერაცხოს იგი, მე კი ეგ ხელი ბედნიერებასთან მიმიყვანს. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ შეგვიძლია ყველაფერი გავყიდოთ და საზღვარგარეთ წავიდეთ... იცოდე, ამ წუთიდან მე უფრო ძლიერ განვიცდი, რომ შენი ვარ. შენ კი, ამჟამად, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გესაჭიროება ჩემი სიყვარული, ძვირფასო!..

მან თავი აუწია ვაჟს და გრძნობით აკოცა ტუჩებში.

— წარსული სამუდამოდ დავიწყებულია. წავიდეთ!

ისინი გამოქვაბულიდან გამოვიდნენ.

— ნუთუ შენ კიდევ ძალგიძს გიყვარდე?

— ნურაფერს მეუბნები!

ვაჟს სახე გაუნათდა. მაგრამ უცბად ხმამაღლა გადაიხარხარა: ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა... გაისმა პარკში.

„ხომ არ შეიშალა?" გაუელვა ლინას.

— აბა, რას იტყვი? კარგად შევასრულე ჩემი როლი, არა? და შენც მართლა დაიჯერე?

ლინა დაბნეული შესცქეროდა მას.

— რაშია საქმე?

— ეს კომედია იყო და მეც აღტაცებული ვარ. ახლა კი მივხვდი თუ რა ძლიერ გყვარებივარ.

— კომედია? როგორ თუ კომედია?

— ისე, უბრალოდ, ფანტაზია, კაპრიზი.

— მაშ შენ ძმა არ გყოლია?

— როგორ არა. მყავს. საზღვარგარეთ ცხოვრობს. მე გატყუებდი, როცა გეუბნებოდი, ეს ყველაფერი მე მეკუთვნის-მეთქი. მაგრამ უნდა მაპატიო! ის, ვისაც შეუძლია აპატიოს მკვლელს, აპატიებს მატყუარასაც. ხომ არ შემიძულებ მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ ეს ვილა ჩვენი არ არის, არა, ჩემო სასურველო?!

მაგრამ ლინას პასუხი არ დასცალდა — მათკენ მოდიოდა მამულის ზედამხედველი. იგი გაჩერდა და რაღაც უჩურჩულა საშას.

— მომიტევე, ლინა, მეტად საჭირო საქმეა. მცირე ხნით უნდა დაგშორდე. შედი ოთახებში, მეც მალე დავბრუნდები.

და იგი ზედამხედველს გაჰყვა.

ნახევარი საათის შემდეგ საშა დაბრუნდა. ლინა აღარ იყო ვილაში. საშამ ყველა ოთახი შემოიარა — არავინ იყო. ეძება ბაღში, პარკში, მინდორზე, მაგრამ ამაოდ. მაშინ მაღალი ხმით დაუწყო ძახილი. არავინ გამოხმაურებია, მხოლოდ ეხო იმეორებდა ნიშნის მოგებით მის სახელს.

იგი ზღვის პირას ჩავიდა. ტალღები უზრუნველად ეალერსებოდნენ უკაცურ ნაპირს. საშინელმა აზრმა გაურბინა მიჯნურს თავში.

„არა!.. შეუძლებელია!.."

მძიმე წინათგრძნობით შეშფოთებული უკან გამოიქცა და მებაღეს შეეჩეხა.

—ქალბატონი არ დაგინახავს?

— წავიდა, გზატკეცილზე გავიდა. მკითხა მხოლოდ, ეს ვილა ვის ეკუთვნისო.

— შენ რა უპასუხე?

— მე ვუთხარი, რომ იგი თქვენი ძმისაა.

საშას თვალთ დაუბნელდა.

თითონაც ვერ შენიშნა, როგორ გამოვიდა გზატკეცილზე. გზა გაჭიმულიყო პირდაპირ, შორს.

ლინა აღარსად იყო. მხოლოდ სადღაც, შორს მოჩანდა პაწია შავი წერტილი. თანდათან ისიც ჰორიზონტს შეერია.

„მორჩა! კიდევ ერთი ცოცხალი ლეში!.. "

უკან გამობრუნდა, ვილას გვერდზე ჩაუარა, მინდორს მიაღწია და მაგიდასთან ჩამოჯდა.

გულგრილად ირწეოდა ზღვა.

იგი მშვიდად ადევნებდა თვალს ტალღების სრბოლას. მისი ფიქრები კი მიჰქროდა გზატკეცილზე და გაუჩინარებულ საყვარელ არსებას მისდევდა.

იქნებ დადგეს დღე, როდესაც იგი კვლავ დაეუფლება თავისთავს, მაგრამ ამჟამად მას სტანჯავდა საშინელი სულიერი ტკივილი. ლინამ წაიღო მისი სულის ნაწილი. ამ წუთებში მას ეჩვენებოდა, მართლაც რომ მოეკლა ძმა, ალბათ, მაშინაც არ განიცდიდა ასეთ ძლიერ ტანჯვას.

თარგმნა გ. ჯაბაშვილმა



# სამართლიანი მოთხოვნა

ბურჟუაზიული პრესისაგან საბჭოთა პრესის ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მისი სიმართლე, მოვლენებისა და ფაქტების ობიექტური, მართებული ასახვაა. კომუნისტური პრესისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი ვ. ი. ლენინი სწორედ ამას შთააგონებდა, ამ პრინციპით ზრდიდა საბჭოთა პრესის მუშაკებს.

ამას წინათ ხელოვნების მუშაკთა სახლში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გაფართოებულმა პლენუმმა განიხილა საკითხები: რესპუბლიკური პრესა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში და რესპუბლიკის გაზეთებში გამოქვეყნებული მასალების ქმედითობის შესახებ.

პრეზიდიუმში ყურადღებას იპყრობდა საშუალო ტანის, შავგვრემანი, კოხტა აღნაგობის ქალი.

როცა თავმჯდომარემ ამ ქალს სიტყვა მისცა, ბევრმა ჟურნალისტმა მხოლოდ მაშინ გაიგო, რომ ის იყო ცნობილი ფეიქარი, სოციალისტური შრომის გმირი ეთერ სოლომონია.

იგი ლაპარაკობდა დინჯად, გულში ჩამწვდომად, იმის შესახებ რაც აწუხებდა, რასაც საჭიროდ თვლიდა.

— ნუ დამძრახავთ და თქვენ, ჟურნალისტები, ყოველთვის საქმის ცოდნით როდი გადმოსცემთ ჩვენს საქმიანობას. თქვენ, რა თქმა უნდა, კალმის ოსტატები ხართ, შეგიძლიათ ლამაზად თქვათ, ბევრი რამ გააზვიადოთ კიდეც, სიტყვების ჯადო დაატრიალოთ... გულახდილად გეტყვით, სიტყვების კორიანტელი, ცარიელი ჰაი-ჰუი არ წვდება მუშის გულს. მთავარია საქმის ცოდნით წერა.

მე ფეიქარი ვარ და ხშირად მიგრძვნია ზოგიერთი ჟურნალისტის ნაწერში ფეიქრის რთული საქმის უცოდინარობა და ამ უცოდინარობის ლამაზი სიტყვით დაფარვის ცდა. რით უნდა ავხსნა ყოველივე ეს?

მე მგონია ამის მიზეზი ისაა, რომ ამხანაგები არ ცდილობენ მეტი დრო მოახმარონ ფაქტებისა და მოვლენების შესწავლას.

როცა ნოვატორის შესახებ წერენ, მკითხველს აინტერესებს გაიგოს, რით აღწევს იგი ამ წარმატებებს, რა სიახლეა მის საქმიანობაში, ყოველივე ეს რომ განმარტოს, ჟურნალისტი იქნება ის თუ მწერალი, კარგად უნდა ერკვეოდეს შრომის პროცესში, იცოდეს ნოვატორის საქმიანობის თავისებურებანი, მისი მიღწევების „საიდუმლოებანი". ხოლო ამას ფაბრიკაში ერთი შერბენით ვერ გააკეთებთ.

ზოგჯერ ისეც ხდება, ნოვატორს მიაწერენ მეტს, ვიდრე გაუკეთებია, ეს კი უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მას თავისი კოლექტივის, ამხანაგების წინაშე.

ეთერის სიტყვას რომ ვისმენდი, მომაგონდა ორიოდე წლის წინათ თელავში ყოფნის დროს აკურის კოლმეურნეობის მინდვრებში კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელ გაიოზ მჭედლიშვილთან შეხვედრა.

— არ მიყვარს, როცა ჩემზე ისეთ რამეს წერენ, რაც მე არ გამიკეთებია. — გულახდილად მითხრა გაიოზმა. — ჟურნალისტს ფაქტების დამახინჯებისა და გამოგონების უფლება არ უნდა ჰქონდეს. ამას წინათ ჩვენი კომუნისტური შრომის ბრიგადის შესახებ ნარკვევი დაიბეჭდა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში". ეს, რა თქმა უნდა, საამაყო და სასიხარულო იყო, მაგრამ როცა ნარკვევი წავიკითხე, თავი ვერ ვიცანი. ჟურნალისტის ფანტაზიას შიგ ისეთი რამეები შეეტანა, რომ ამხანაგებს თვალს ვეღარ ვუსწორებდი. მათ ხომ შეეძლოთ ეფიქრათ, რომ ასეთი ცნობები მე მივეცი!..

მაშინ მე ვცადე დამეცვა გაზეთისა და ჟურნალის ინტერესები და ვუთხარი, რომ ჯანსაღი ფანტაზია საჭიროა, ჟურნალისტი ფოტოგრაფს ვერ დაემსგავსება. ზედაპირულად კოპირებული მოვლენა ზოგჯერ მოსაწყენი ჩანს, თუ მას ჟურნალისტმა თავისი სული არ შთაბერა.

სხვებსაც ბევრს შევხვედრივარ, საყვედურს რომ გამოსთქვამდნენ ზოგიერთი ჟურნალისტის მისამართით: გაზვიადება და ფანტაზიორობა უყვარსო. იგივე საყვედური იგრძნობოდა ეთერის სიტყვაშიც.

როგორც ჩანს, ზოგიერთი ჟურნალისტი მართლაც კარგავს ზომიერების გრძნობას, შლის ზღვარს მწერალსა და პუბლიცისტს შორის, მოთხრობასა და ნარკვევს შორის. ჟურნალისტს არავინ არ უკრძალავს დაწეროს მოთხრობა. მოთხრობა იძლევა ფანტაზიის სრულყოფილად გაშლის შესაძლებლობას. თუმცა აქაც საჭიროა ზომიერების გრძნობა, ცხოვრების რეალური ასახვის, ტიპიური სახეებისა და მოვლენების ტიპიურ გარემოში ჩვენების უნარი, დამაჯერებლობა. განსხვავება ის არის, რომ მოქმედ პირს მწერალი, მოთხრობის ავტორი ნებისმიერად მიაწერს იმას, რაც მას სურს და რაც საჭიროდ მიაჩნია. აქ მისი ფანტაზია შეუზღუდავია იმ თვალსაზრისით, რომ არავინ არ გამოედავება: ეს მე ვარ და ჩემზე ასე რატომ წერ, მე ეს არ გამიკეთებიაო.

ნარკვევისა და საგაზეთო სტატიის ავტორი ამ მხრივ შეზღუდულია, მას არ შეუძლია მოქმედ პირს ნებისმიერად მიაწეროს ის, რაც მას სურს, არ შეუძლია იმიტომ, რომ იგი წერს ნამდვილი, თანამედროვე ადამიანის შესახებ, იმის შესახებ, ვისაც უფლება აქვს თავი დაიცვას როგორც ცილისწამებისაგან, ასევე დაუმსახურებელი ქებისაგან.



ჩვენს ჟურნალისტებს, საბჭოთა პრესის, რადიოს, ტელევიზიის მუშაკებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ მათი საპატიო მოვალეობაა სიმართლით ემსახურონ ხალხს, სწორად ასახონ, დამაჯერებლად, გულში ჩამწვდომად გადმოსცენ ფაქტები და მოვლენები.

აი ეს მოითხოვა ჟურნალისტებისაგან სოციალისტური შრომის გმირმა, ფეიქარმა ქალმა ეთერ სოლომონიამ. მან დააყენა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

— რა თქმა უნდა, ჩვენთვის, ნოვატორებისათვის, — თქვა ეთერიმ, — დიდი პატივია ვესწრებოდეთ პლენუმებსა და თათბირებს. მაგრამ, მაპატიეთ გულახდილობა, ძალიან ბევრ დროს გვართმევთ. ხდება, ხოლმე, ზოგჯერ ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი გამოგვიძახებს, საათობით გვწყვეტს სამუშაოს, შემდეგ გამოირკვევა, რომ ამ საქმის გაკეთება ტელეფონითაც შეიძლებოდა.

ჩვენი მთავარი მოწოდებაა მატერიალური დოვლათის, სიუხვის შექმნა. შრომაში მოპოვებული წარმატებებით ფასდება ჩვენი საქმიანობა. ამხანაგები მოვალენი არიან დაგვეხმარონ, ხელი შეგვიწყონ, რომ ვამრავლოთ წარმატებები. პრესა უნდა დაგვეხმაროს, პრესამ თავისი სიტყვა უნდა თქვას ამ მხრივაც.

ნამდვილად სამართლიანია ეთერის მოთხოვნა.

**აქ. ჩაჩლეიშვილი**

# „ფრენისათვის ხელსაყრელი ამინდია"


ეროვნული ბიბლიოთეკა

შუაღამეა. ეთერ ქავთარაძე და ლეილა არველაძე სინოპტიკურ და ბარიულ რუკებს დაჰყურებენ. რუკებზე აღნიშნულია, როგორი ამინდია ევრაზიის კონტინენტის ზედაპირზე და ატმოსფეროს სხვადასხვა ფენებში. ეს ინფორმაციები ქალიშვილებმა რადიოკავშირით მიიღეს.

აი, ზომიერი სარტყლის გასწვრივ ატმოსფერული წნევა იკლებს, რაც ტროპიკული ზონიდან წამოსულმა სითბომ გამოიწვია. არქტიკაში ჰაერის მასა შეტორტმანდა და გრილი ქარი სამხრეთისკენ დაიძრა. თავისუფლად გადმოიქროლა აღმოსავლეთ ევროპის დაბლობი, ურალის სამხრეთ ნაწილში დასავლეთ ციმბირიდან მომავალი ღრუბლები გამოიყოლა, მაგრამ კავკასიონის მთებმა გზა გადაუღობეს. ქარი მდინარესავით შეგუბდა, ორად გაიყო. ერთი ნაწილი კასპიისპირეთისკენ გაემართა, მეორე — შავი ზღვისაკენ. ქარები ამაოდ ცდილობდნენ საქართველოში „პაემანზე" შეხვედრას. ერთი ნაწილი შავი ზღვის აუზმა გაათბო და ძალა დაუკარგა, მეორე — აზერბაიჯანის დაბლობზე გაიფანტა.

სინოპტიკოსები ახლა ატმოსფეროს მაღალ ფენებს აკვირდებიან. არც აქ არის სიმშვიდე. ქარის ჭავლური დინება, რომლის სათავე დიდი ბრიტანეთიდან იწყება, კავკასიის გავლით შუა აზიისკენ მიემართება.

ინჟინერ-სინოპტიკოსები რუკის მიხედვით ანალიზს აკეთებენ, მეტეოროლოგიურ ფორმულებს იყენებენ, თავიანთ აზრს გამოთქვამენ, ბჭობენ, ყოველ საკითხს თეორიულად ამტკიცებენ, მერე ნავარაუდევს და ნაფიქრს ერთხელ კიდევ ამოწმებენ და 6 საათის განმავლობაში თბილისში მოსალოდნელი ამინდის პროგნოზს წერენ.

მაგრამ სამოქალაქო-საჰაერო ფლოტის ინჟინერ-სინოპტიკოსისათვის ეს საკმარისი არ არის. მან უნდა იცოდეს იმ ადგილების მეტეოროლოგიური მდგომარეობაც, სადაც თბილისიდან წასული თვითმფრინავი გაივლის და დაფრინდება.

თბილისის აეროპორტის მეტეოროლოგიურ სადგურში განუწყვეტლად ისმის ტელეფონის წკრიალი. დისპეტჩერებს და ფრენის ხელმძღვანელებს აინტერესებთ, როგორი ამინდია მოსკოვში, ლენინგრადში, ბაქოში. ქალიშვილებს პასუხისთვის არ უხდებათ რუკებზე დახედვა. მათ ზეპირად იციან ყოველი პუნქტის მეტეოროლოგიური მდგომარეობა.

ტაშკენტიდან საჰაერო ხომალდმა მიმართულება თბილისისკენ აიღო. ეთერ ქავთარაძე და ლეილა არველაძე ახლა ამ ტრასაზე ამახვილებენ ყურადღებას. აი, დერბენდის მიდამოებში ჭექა-ქუხილი დაიწყო, რასაც სინოპტიკოსები სასწრაფოდ ატყობინებენ ფრენის ხელმძღვანელს. ეს უკანასკნელი საქმის კურსში აყენებს თვითმფრინავის ეკიპაჟს. რეაქტიულმა ლაინერმა გვერდი აუქცია მკვესავ ღრუბლებს, მოსალოდნელი საფრთხე აიცდინა და გზა მშვიდობიანად განაგრძო. მტრედისფერი სინათლე აღმოსავლეთიდან ფეხაკრეფით უახლოვდება დედაქალაქს. აეროპორტმა ტაშკენტიდან მომავალ თვითმფრინავს სარკმელი გაუღო.

თბილისს ჯერ კიდევ ძინავს. მსუბუქი მანქანების ქარავანი აეროვაგზლისკენ მიემართება. მგზავრები მოსკოვისკენ მიმავალ თვითმფრინავში სხდებიან. მფრინავები კი, როგორც ყოველთვის, ჯერ ავიამეტსადგურში შედიან. მათ მორიგე სინოპტიკოსები ეთერ ქავთარაძე და ლეილა არველაძე ტრასის მეტეოროლოგიურ მდგომარეობას აცნობენ, აფრთხილებენ, რომ როსტოვის მიდამოებში 10 კილომეტრის სიმაღლეზე რყევებია. მოსალოდნელ ამინდს ატყობინებენ, მერე ყველაფერ ამას სამარშრუტო ფურცლებში უწერენ და გზას ულოცავენ.

რეაქტიული ძრავები, რომლებიც მუშა ცხენებივით შებმიან საჰაერო ლაინერს, გუგუნით მიარღვევენ ლურჯ სივრცეს. აი, გადათეთრებული კავკასიონის მთები. მყინვარს წამოფოფრილ ღრუბლებში ამოუყვია თავი, იალბუზს ნისლის მკრთალი მერდინი შემოუხვევია. როსტოვთან მიახლოებისას, მგზავრები რომ „საჰაერო ორმოებით" არ შეწუხდნენ, ეკიპაჟის უფროსი მიწაზე რადიოთი უკავშირდება ფრენის ხელმძღვანელს, სთხოვს სიმაღლის შეცვლის ნებართვას და თანხმობის მიღების შემდეგ 10 კილომეტრიდან 11-ზე გადადის. საჰაერო ტრასა ზუსტად ისეთ მდგომარეობაშია, როგორც სინოპტიკოსებმა იწინასწარმეტყველეს.

თვითმფრინავები აეროპორტიდან განრიგის მიხედვით მიფრინავენ, მხოლოდ ამბროლაურისკენ მიმავალი საჰაერო ხომალდის გასვლა სინოპტიკოსებმა სამი საათით გადადვეს. ამბროლაური ნისლშია გახვეული. მფრინავი დასაფრენ ბილიკს ვერ დაინახავს, რადგანაც ავიატორების გამოთქმით „აეროდრომი დაკეტილია". სინოპტიკოსები ვარაუდობენ, რომ მზის ამოსვლის შემდეგ ტემპერატურის გაზრდისას ნისლი აორთქლდება და აეროდრომიც „გაიღება".

საჰაერო ხომალდები გასაფრენად მზად არიან და თავიანთ რიგს ელიან, მაგრამ მანამ ვერ მოსწყდებიან მიწას, სანამ სინოპტიკოსები არ იტყვიან: „ფრენისთვის ხელსაყრელი ამინდია".

ა. ლამბაშიძე

ე. ქავთარაძე (ზემოთ) და ლ. არველაძე (ქვემოთ) მფრინავებთან ერთად ადგენენ გაფრენის გეგმებს.





# ველისციხეში, ქართველ დამლაგესთან

**წელს დიდი ამოცანებია დასახული მევენახეების წინაშე. მათ გეგმით სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 190 ათასი ტონა ყურძენი. ისინი კისრულობენ გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სახელმწიფოს 10 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი.**

ალაზნის ველის მარჯვენა სანაპიროს შუაგულში, კახეთის მაღალგანვითარებული მევენახეობის ცენტრში მდებარეობს ღონიერი სოფელი ველისციხე. ესაა თანამედროვე სოციალისტური სოფელი თავისი შრომის ბარაქითა და სიუხვით, კოხტა ორსართულიანი სახლებითა და მოასფალტებული გზატკეცილებით, უკიდეგანო ზვრებითა და შრომისმოყვარე ადამიანებით. სიმდიდრის წყარო აქ ვენახია. საყოველთაოდ ცნობილია აქაური „რქაწითელი", „საფერავი" და „კაბერნე". სოფელს არშიასავით არტყია ვენახები, რომელთა ფართობი ყოველ წელს იზრდება. წელს 515 ჰექტარ ზვარს 20 ჰექტარი შეემატა. განუხრელი ტემპით მიდის წინ ვენახის გაშენების სამუშაოები.

ველისციხელ ზაქლადას ნინო ჩითაიშვილს სწორედ უმოსავლო ვენახში (ასე უწოდებენ აქ ახლადგაშენებულ ვენახს) მუშაობის დროს მიეუსწრარით, მიეუსწრარით და სტიქიონთან ადამიანის გულადი შერკინების უნებური მოწმენი გავხდით: კოკისპირულ თავსხმაში შავებში ჩაცმული ქალი თავს დასტრიალებდა ახალგაშენებულ ზვარს, როგორც მშობელი დედა განსაცდელში ჩავარდნილ უმწეო შვილს და იყო რაღაც სიმბოლური, რაღაც გმირული შთაგონების მაუწყებელი ამ განუმეორებელ სცენაში.

* * *

ერთ მწკრივზე გადარიგებული ბოძები, სარი და ჭიგო ვენახს მეტი კულტურულობის იერს აძლევს.

მზე ვერცხლისფერ-მწვანედ აელვარებდა ვაზის ფოთლებზე შერჩენილ წვიმის წვეთებს და ამ თვალუწვდენი ზვრის უბადლო მეუფე ნინო ჩითაიშვილი ხან გაბმულად, ხან ნაწყვეტ-ნაწყვეტ ყვებოდა შორეული სამყაროს მივიწყებულ ზღაპარს. სოფლის მებატონე იყო ამ ზღაპრის ავი სული, მშრომელი გლეხობა კი — მისი კეთილი გმირები. მიწა მაშინაც ასე იყო უხვი, როგორც დღეს და გლეხობა გამრჯე, როგორც ყოველთვის. შრომის ფასი იყო გროში და გაჭირვება მისი საზღაური. სოფელს ახრჩობდა უწყლობა და სულს უხუ-

თავდა ჭრაქი. გლეხკაცის არსებობის ფუძეთა-ფუძე — ვენახი დაღუპვამდე მიჰყავდა სოკოვან დაავადებებსა და ფილოქსერას.

— ჩემი ცხოვრების 40 წელმა იმ ძველ დროში განვლო, — ასე იწყებოდა უსიამოვნო ზღაპრის ფინალი, — სულ პატარა გამათხოვეს და გაჭირვების მეტი არაფერი უნახავს ჩემს თვალებს. ემ საათშიაც სწავლის მონატრე ვარ, იმიტომ რომ ადრე შემაწყვეტინეს სწავლა. 6 შვილი გამიზრდია, 17 შვილიშვილი მყავს და 9 შვილთაშვილი.

1922 წელს ველისციხეში პირველი სასოფლო-სამეურნეო კომუნა შექმნილა და მისთვის „შრომის სამეფო" უწოდებიათ. ნინო ჩითაიშვილს ეტყობა უყვარს ხატოვანი გამოთქმები და ამ ფაქტს სოფელში ახალი სხივის შემოჭრას უწოდებს. ეს იყო საკოლმეურნეო წყობილების პირველი სახე სოფლად. ნამდვილი საკოლმეურნეო მოძრაობა გაიშალა უფრო გვიან, 30-იან წლებში. სულ რამდენიმე ხნის წინ ველისციხეში 7 კოლმეურნეობა იყო. ამჟამად ისინი გაერთიანებული არიან ერთ გამსხვილებულ კოლმეურნეობად — „ლენინის ანდერძი". დღიდან კოლმეურნეობის დაარსებისა ნინო ჩითაიშვილი მერგოლურად მუშაობს — 1952 წლამდე მემინდვრეობის ბრიგადის მერგოლური იყო, ხოლო დღეს მევენახეობის ბრიგადაშია. არის კოლმეურნეობის გამგეობის წევრი; 1937 წლიდან სასოფლო საბჭოს დეპუტატი და აღმასკომის წევრია. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის სამგზის მონაწილეა; პირუთვნელობისათვის თანასოფლელებმა სახალხო მსაჯულად აირჩიეს.

— კოლმეურნეობის კანტორა ხომ ნახეთ? — მოულოდნელად გვკითხა შუა საუბარში და ჩვენ გავიხსენეთ სოფლის ცენტრში აღმართული ორსართულიანი, საკმაოდ ლამაზი შენობა. მოხუცი კოლმეურნის კითხვაში იგრძნობოდა სიამაყე, რაც უთუოდ იმით იყო გამოწვეული, რომ ეს დიდებული შენობა თვით კოლმეურნეობის მიერ არის აშენებული. შემდეგში კოლმეურნეობის მძღოლისაგან გავიგეთ, რომ ამ კანტორის მშენებლობაში ქალთაგან ყველაზე აქტიური მონაწილეობა ნინო ჩითაიშვილს მიუღია...

ოთხმოც წელს გადაცილებული ქალი ახალგაზრდების მხარდამხარ შრომობს და მაგალითის მიმცემია მათთვის. ადამიანი სძლევს სიბერეს შრომისადმი ახალგაზრდული ენთუზიაზმით, სძლევს მწუხარებას კოლექტივის მორალური მხარდაჭერით.

— როცა ფრონტიდან შვილის დაღუპვის ცნობა მივიღე, მეგონა ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ ხალხმა, კოლექტივმა გადამატანინა მწუხარება; შავებს კი ვერა და ვერ შეველიე, — ხმადაბლა, თითქოს თავისთვის წარმოსთქვამს მწუხარებისა და მადლობის სიტყვებს ნინო.

ნინო ჩითაიშვილი სრულიად ჯანმრთელად გამოიყურება. მხით დამწვარ სახეს შენარჩუნებული აქვს ადრინდელი წყობა, ხმა მტკიცე და მკვეთრი აქვს. სრულებით არ უჩივის სმენას, მხედველობას, მეხსიერებას. ყველაზე გასაოცარი მასში მაინც ახალგაზრდული შრომისუნარიანობაა. 1961 წელს გამოიმუშავა 377 შრომადღე, გასულ წელს კი — 271. შარშან კოლმეურნეობის გამგეობამ დასასვენებლად გაგზავნა ზღვაზე.

— ჩვენმა თავმჯდომარემ — მიტომ მითხრა, ისეთ ადგილზე უნდა გაგაგზავნო, რომ გაგაჯეელოო, — და მომცა მახინჯაურის სანატორიუმის საგზური. ზღვაზე გულჯავრიანი წაველი, გულისყური აქეთ მქონდა, რადგან სეტყვამ ვენახები გაგვიოხრა და დამწუხრებული დავტოვე სოფელი. ვადაზე ადრე დავბრუნდი სოფელში. მიუხედავად სეტყვისა, ჩემს რგოლზე გაპიროვნებულ 17,5 ჰექტარ მსხმოიარე ვენახიდან 992 ცენტნერი ყურძენი მოვიწიეთ...

ამ სიტყვებში იგრძნობა საკოლმეურნეო საქმისადმი გულშემატკივარი ადამიანი, შრომაში ამაღლებული ადამიანი. ის წარმოუდგენელი აღტაცებით გვიამბობდა იმის შესახებ, რომ ახლა კოლმეურნეობის ზვრები რკინაბეტონის სარ-ბოძზე იმართება, რომ სოფლად თითქმის აღარ არიან თაღლითები... და რა დიდი იყო მისი გულისტკივილი იმის გამო, რომ უამინდობამ შეაფერხა ვენახის სამუშაოები, რომ თავი იჩინა ვაზის საშიშმა დაავადებამ — ჭრაქმა, რომ გამუდმებულმა წვიმებმა საფრთხის წინაშე დააყენა კოლმეურნეობის მიერ ნაკისრი ვალდებულება — წელს ჰექტარზე 120 ცენტნერი ყურძნის მიღებისა და სახელმწიფოსათვის 3000 ტონა ყურძნის მიყიდვის შესახებ... საკოლმეურნეო გაზეთში გაჩნდა სასიგნალო წერილები: „შევაჩეროთ და მოვსპოთ ჭრაქი!" „ვაზი ჭრაქმა არ დაგვიზიანოს!" „ვიმუშაოთ დარში და ავდარში!"

აპრილის პირველი დღეები ხელსაყრელი აღმოჩნდა მევენახეობისათვის. მაშინ კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი გულნარა ჩეკურიშვილი სიხარულით აცხადებდა: კვირტიდან ბარაქიანი შემოდგომა იცქირებაო.

— ახლა საქმე ისეა, — ამბობს მოხუცი ნინო ჩითაიშვილი, — რომ ჩვენზეა ყველაფერი დამოკიდებული. სიტყვას არ გავტეხთ მაინც. ჩვენი შრომაა ამის საწინდარი.

მევენახეს არა აქვს უფლება გულხელდაკრეფილი ელოდოს ბუნების მოწყალებას და ნინო ჩითაიშვილი შრომობს მკლავებდაკაპიწებული.

— დეიდა ნინო ჩვენი ზაგლადაა, — ეს თქვეს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ბუღალტერმა, მძღოლმა. ეს თქვა პატარა ბიჭმა სოფლის შარაზე.

ზაგლადა! —

„პატივი ეცით მინდვრის მშრომელის ღირსებას!" — სახელოვანი მშრომელი ქალის ეს მოწოდება ზარივით რეკდა გულში და ნინო ჩითაიშვილი კი არ გვთხოვდა, კი არ გვავალებდა, უნებლიედ იწვევდა თავისი ღირსებებისადმი პატივისცემას, რადგან ის ჩვენს წინ იდგა როგორც ქართული გლეხკაცური დაუბერებელი სინდისი, როგორც გულმართალი შრომა და გმირული შემართება, როგორც საუკუნე თავისი წარსულის ტკივილებით და აწმყოს სიხარულით.

**ნანული ქოჩიშვილი,**
**ნელი გოგოლაშვილი.**

**ბერდია ბერიაშვილი**

## ასანური—ჩემი დედა

ისევ ვნახე ჩემი მთა და ჩემი ხევი,
და სოფელი, ყრმობასავით სათაყვანო.
დედასავით მინდა ყელზე მოვეხვიო
და ბავშვივით მინდა ხელში ამიყვანოს.

სხვა დიდება მე არა მწამს, მე არ ვიცი,
მისი მსგავსი სად ვეძებო, სადა ვნახო,
ასანური, ჩემთვის ასჯერ დასაფიცი,
ხარ-ირმისთვის ერთი დილის საბალახო.

ასანური, მინდა ასჯერ ჩავიმუხლო,
ყველა ხესთან, ყველა სახლთან, ყველა
კართან.
სიყვარულმა დამამუნჯა, მოველ უხმოდ,
შემიფარებს, ვიცი, მისი მწვანე კალთა.

ჩემს თვალებში გათენდება მისი დილა,
ჩემი ლექსის საბალე და სავენახო.
დედაა და პაწაწინა გამაცილა,
დედაა და მსურს გაზრდილი დავენახო!

**მარი გველესიანი**

## დედა

ის არის დედა, მასში შენი
შვილი ხმაურობს.
დაიჩოქე და ეცი თაყვანი!
არც კი დაგეწყოთ საქორწილო მოგზაურობა
თვალით მოზომა: სად დაედგა
ჩვილის აკვანი.
მან შენზე ადრე გაიგო რომ
მოვა სიცოცხლე,
და შენს სახლს, ეზოს
მოედება აურზაურით.
მისი მოსვლისთვის ის მზადაა
დღე შეიმოკლოს, —
თაყვანი ეცი,
მასში შენი შვილი ხმაურობს!

**დანიელ ხახიაშვილი**

## შოვი

გზა შოლტივით მოქნეული, შორი.
მეგებება მშვენიერი შოვი.
თავს დამცქერის ბუმბერაზი შოდა,
ეს შოდაა, თუ ცოცხალი შოთა?

ირხევიან ტანმაღალი ხენი,
ბუბის წყალი ბურღავს კლდეებს ღრენით.
მთებს გადასდევს ცისარტყელას ზოლი,
ყვავილებით მოქარგულა მოლი.

ველზე ნიავს გაუშლია ფრთები
და წყაროთა სიანკარით ვტკბები.
ცას გადასწვდა ჩემი ფიქრი შორი,
მესალმება მშვენიერი შოვი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ს. ფოსტიროპულო—ელისაბედი (ზემო ფოტოზე ცენტრში), კლიტემნესტრა (ქვემო ფოტოზე მარცხნივ).

# ბერძნულ ენაზე...

ახლა ქრისტეფორე ხშირად ეხუმრება ხოლმე ცოლს:

— ამ სიბერეში ოჯახში არტისტი-ღა მაკლდა! გრცხვენოდეს მაინც, ბებია...

ოჯახის უფროსი როდი ტყუის. წელიწადნახევარია, რაც სოფიო ბებია გახდა —ოჯახს პატარა გიორგი შეემატა, უფროსი ქალიშვილის ბიჭუნა. მაგრამ მაინც გეჩოთირება „ბებია“ უწოდო ამ ენერგიულ ქალს. ჰოდა, თუ „სიბერისას“ თეატრმა გაიტაცა — განა რამეს დაუშლის? ვაჟიშვილი — სტეფანე სოფლის სკოლაში, მერვე კლასში სწავლობს, ქალიშვილი — ანთინა შვიდწლედის დამთავრების დღიდან კოლმეურნეობაში მუშაობს, უფროსმა ვაჟმა — გიორგიმ კი შარშან დაამთავრა სკოლა და ახლა საბჭოთა არმიის რიგებშია.

ჰოდა, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობის მედპუნქტის სანიტარს სოფიო ფოსტიროპულოს იმდენი თავისუფალი დრო რჩება, რომ დიდ ცოდვად არ მიაჩნია ეს დრო ბავშვობიდანვე საყვარელ საქმეს მოახმაროს.

ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლში ჩამოყალიბდა თვითმოქმედი ბერძნული დრამატიული კოლექტივი, რომელშიც ოცდაათზე მეტი სცენისმოყვარე გაერთიანდა — სოხუმის საწარმო-დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები. სოფიომაც სინჯა მაშინ თავისი ძალა. და უნდა ნახოთ, იმ დღიდან რა შთაგონებით და აღტაცებით მუშაობს თავის ყოველ როლზე, რა გულმოდგინედ ესწრება დრამწრის ყოველ მეცადინეობას! მერედა იცით სად ცხოვრობს? ქალაქგარეთ, მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობაში. მაგრამ, თურმე, არც მანძილი შეგაშინებს, როცა რამეს ასე ელტვი, როცა რაიმე ასე გიყვარს?.

ეს სიყვარული მას დიდი ხნის წინ ეწვია მაგრამ თავს არ უტყდებოდა, რცხვენოდა და ეშინოდა სცენის. მხოლოდ დიდი ხნის ჭოჭმანის შემდეგ გადასწყვიტა და მაშინვე მიხვდა, რომ ეს იყო მისი მოწოდება.

ყველაზე დიდ სიხარულს ახლა სოფიო ფოსტიროპულოს აი, ეს სპექტაკლები ანიჭებს, პატარა ბერძნული დასი რომ ახორციელებს, მრავალეროვანი საბჭოთა თეატრის ნაირფერი თაიგულის ეს პატარა, ცოცხალი ყვავილი.

სოხუმის ბერძნული დასი ხშირად გამოდის თავისი სპექტაკლებით ქალაქის თეატრისა და ფილარმონიის სცენებზე. ბერძნულ კოლექტივს ხელისუფლების მზრუნველობა არ აკლია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცი წლის თავზე სოფიოს კოლეგას ო. პანკოზად-კოროპეცს მიენიჭა აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტის წოდება.

ცხრა სპექტაკლი დაიდგა სოხუმში ბერძნულ ენაზე, უმეტესი მათგანი მარტო აფხაზეთის კი არა, ჩვენი ქვეყნის შავიზღვისპირეთის სხვა ქალაქების მაცხოვრებლებმაც ნახეს.

სოფიო ყველა დადგმის მონაწილეა. აი, მისი როლებიც: პართენა — ფ. კანონიდის „ტრიქის ხიდში“, ასტრო — პ. პერესიადის „გოლფოში“, ელისაბედი — რ. ერისთავის კომედიაში „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“...

მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო იყო ახალი როლი — დედოფალ კლიტემნესტრას სახე სოფოკლეს „ელექტრაში“, რომლის დადგმა რეჟისორმა გ. სულიკაშვილმა განახორციელა.

ძველი ბერძნული ტრაგედიისადმი ეს ცხოველი ინტერესი იმითაც იყო გამოწვეული, რომ ჯერჯერობით სოფოკლეს „ელექტრა“ მთლიანად არავის დაედგა. და კიდევ იმით, რომ ამ უკვდავი ნაწარმოების ტექსტი ჩვენს ქვეყანაში მშობლიურ ენაზე პირველად უნდა აჟღერებულიყო.

ჰოდა, აგერ პრემიერაც. ხმაურიანი წარმატება. ოვაციებს ბოლო არ უჩანს. ვინ იცის, მერამდენედ იძახებენ სცენაზე აღმრიცხველ მუშას თ. ჩაკურიდის (ელექტრა), პლასტიკატების საამქროს მუშას — ვ. ხარტომაჩიდის და ტექნოლოგ ვ. ფელიდის. ამათთან და დამდგმელ რეჟისორთან ერთად ს. ფოსტიროპულომ სამართლიანად გაინაწილა სპექტაკლის წარმატება.



სულ ახლახან ბერძნულმა დასმა ახალი კომედია უჩვენა მაყურებელს — დ. ფსატასის „გვჭირდება მატყუარა“. ამ სპექტაკლში სოფიომ თავისთვის უჩვეულო, ახალი სახე შექმნა — პიცა კიცას, კაბარეს მსახიობის.

...ადრიანი დილაა. მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირს ქრისტეფორე ფოსტიროპულოს თავის ცოლთან ერთად სამუშაოზე მიეჩქარება.

— მალე გნახავთ ახალ როლში? — გზად ეწევა სოფიოს მზით გარუჯული ქალი ქრისტეფორეს ბრიგადიდან.

— მალე, — უღიმის სოფიო. — რთული როლი კი მაქვს, სახასიათო.

— მერე ჩვენს კოლმეურნეობაშიც დადგამთ ახალ სპექტაკლს, არა?

— აბა, როგორ — ტრადიციებს ვუღალატებთ?

ქრისტეფორეს ეღიმება და გუნებაში ფიქრობს: ნამდვილი მსახიობივით არ ლაპარაკობს! კაცს მოსმენა გაუხარდება...

ა. დანელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი საოჯახო კლუბი

# მოსწავლის რეჟიმი

მოსწავლე ყოველდღიურად ხუთ-ექვს საათს ატარებს სკოლაში, მაგრამ დროის მეტ ნაწილს იგი სახლშია — ამზადებს გაკვეთილებს, ერთობა და ისვენებს.

მოსწავლის ცხოვრება სკოლაში გარკვეულ გეგმას ემორჩილება. ასეთივე რეჟიმი უნდა ჰქონდეს მას სახლშიც. მოსწავლის წარმატებები, ჯანმრთელობა და შრომისუნარიანობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა პირობებში მიმდინარეობს მისი მეცადინეობა სახლში და როგორ არის ის ორგანიზებული. თუ მშობელს სურს, რომ მისი ბავშვი ჯანმრთელი და ამტანი იყოს და ამავე დროს კარგად სწავლობდეს (ჩვენ კი ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს ყველა მშობელს სურს), მან სწორი რეჟიმი უნდა შეუქმნას მოსწავლეს ოჯახში.

უპირველეს ყოვლისა, მშობელს უნდა ახსოვდეს, რომ ყოველი გონებრივი შრომა ყურადღებას, გულისხმიერებას საჭიროებს, ამიტომ, როდესაც ბავშვი გაკვეთილებს ამზადებს, არაფერმა არ უნდა გაფანტოს მისი ყურადღება. იმ ოთახში, სადაც მოწაფე მეცადინეობს, აუცილებლად უნდა გამოითიშოს რადიო და რამდენადაც შესაძლებელია, ნაკლები უნდა ილაპარაკონ. ზოგიერთ მოსწავლეს გაკვეთილის დამზადებისას რადიოს ჩართვა უყვარს და ირწმუნება: რადიო სულ არ მიშლის ხელსო, მაგრამ, რასაკვირველია, ეს მართალი არ არის. რადიოს ხმა ფანტავს მოწაფის ყურადღებას, ბავშვი სასწავლო მასალას ცუდად ითვისებს და გაკვეთილის დამზადებას გაცილებით მეტ ხანს უნდება.

ზოგჯერ ბავშვი, რომელსაც კარგი მეხსიერება აქვს, მაშინაც იმახსოვრებს გაკვეთილს, როცა მას ხელს უშლიან მეცადინეობაში. გაკვეთილის ასეთ დამახსოვრებას უნდა ვერიდოთ. ის მექანიკურია: ამ დროს სასწავლო მასალას ბავშვი მხოლოდ იმახსოვრებს, მაგრამ არ ითვისებს.

იმ ოთახში, სადაც ბავშვი გაკვეთილს ამზადებს, ჰაერი ყოველთვის სუფთა უნდა იყოს. შეხუთულ ოთახში ბავშვი ითენთება, ეძინება და ცუდად ითვისებს გაკვეთილს.

სკოლაში, როგორც ცნობილია, გაკვეთილებს შორის შესვენებაა. ასეთი შესვენება აუცილებელია იმისათვის, რომ ბავშვმა რამდენიმე ხნით დაისვენოს გონებრივი მუშაობისაგან. გაკვეთილის ბოლოს მისი ყურადღება ჩვეულებრივ, დაღლილია, შესუსტებული და ბავშვი უფრო ცუდად ითვისებს გაკვეთილს. ასევე მოსდის ბავშვს სახლში მეცადინეობის დროსაც, ამიტომ ყოველ 45-50 წუთში ბავშვი 10-15 წუთით უნდა შევასვენოთ. მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს მოსწავლე რაც შეიძლება ხშირად უნდა სეირნობდეს სუფთა ჰაერზე, ვარჯიშობდეს. მოძრაობა ყოველი ჯანმრთელი ბავშვის ბუნებრივი მოთხოვნილებაა, ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შედეგად ბავშვი უფრო შრომისუნარიანი ხდება და უკეთესად მეცადინეობს.

მოსწავლისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ძილს. თუ მოსწავლეს ძილი დააკლდა, ის მოდუნებულია, ყურადღება ეფანტება, ცუდად ითვისებს გაკვეთილს და ეკარგება სწავლის ინტერესი. ამიტომ მშობლებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ ბავშვმა საკმარისად იძინოს. მოსწავლის ძილის საათები მის ასაკზეა დამოკიდებული. ასე, მაგალითად, ექვსი-შვიდი წლის ბავშვმა დღეღამეში თორმეტი საათი უნდა იძინოს, რვა-ათი წლისამ — თერთმეტი საათი. ათი-თერთმეტი წლის ბავშვის ძილის ხანგრძლიობა ათი საათი უნდა იყოს, ხოლო ცამეტიდან თვრამეტი წლის ასაკამდე —რვანახევარი-ცხრა საათი. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, რომ მოსწავლე ყოველთვის ერთსადაიმავე დროს წვებოდეს დასაძინებლად.

ბავშვის ჯანმრთელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ძილის ხანგრძლიობას, არამედ იმასაც, თუ როგორ სძინავს ბავშვს. ბავშვის ძილი ღრმა და მშვიდი უნდა იყოს. ამისათვის მძინარეს სინათლე თვალებზე არ უნდა ხვდებოდეს, ოთახი კარგად უნდა იყოს განიავებული და უნდა იყოს სიჩუმე. ბავშვმა დაწოლამდე ერთი-ორი საათით ადრე, ძალიან მსუბუქად უნდა ივახშმოს, რადგან ჭამისთანავე დაძინებისას ბავშვს მძიმე ძილი აქვს და ძილში იქანცება.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის მხედველობის დაცვას*.

მშობლებმა უნდა შეუქმნან ბავშვს იმის პირობები, რომ იგი კარგად ვითარდებოდეს ფიზიკურად, უვითარდებოდეს ამტანობა და სხვადასხვა დაავადებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარი.

რა უწყობს ხელს მოსწავლის ორგანიზმის გაჯანსაღებას?

ბავშვის გასაჯანსაღებლად უპირველეს ყოვლისა საჭიროა სწორი კვება და გამოწრთობა, ყველაზე ნაკლებ კი — წამლები.

ბავშვის კვება რომ ნორმალური იყოს, აუცილებელია ორი ძირითადი წესის დაცვა: ჯერ ერთი, ბავშვი რეგულარულად და განსაზღვრულ საათებში უნდა ჭამდეს საჭმელს. ეს არის საჭმლის მონელების უმთავრესი პირობა. აუცილებელია, რომ ბავშვი მრავალფეროვან და საკმაო რაოდენობის საჭმელს იღებდეს, რადგან ის იზრდება, ბევრს დარბის, დიდ ენერგიას ხარჯავს და საჭიროა ამ ენერგიის აღდგენა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ბავშვს საკმაო რაოდენობით ეძლეოდეს ვიტამინიანი საჭმელები, განსაკუთრებით კი „ა“ ვიტამინი, რომელიც აუცილებელია ზრდისათვის და „დ“ ვიტამინი, რომელიც ძვლების გამაგრებას უწყობს ხელს. ეს ვიტამინები არის კარაქში, კვერცხში, რძეში და თევზის ქონში. ბავშვისათვის აუცილებელია აგრეთვე „ც“ ვიტამინი, რომელსაც შეიცავს ბოსტნეული და ხილი.

ბევრმა მშობელმა არც კი იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ორგანიზმისთვის გამოწრთობას.

ბავშვის გამოწრთობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი პატარაობიდანვე შევაჩვიოთ ტემპერატურის მკვეთრ ცვლილებას. გამოწრთობისას საუკეთესო თანაშემწეებია ჰაერი, წყალი და მზე.

მოსწავლის რეჟიმის სწორი დაცვა მის ჯანმრთელობასაც აუმჯობესებს და კარგად სწავლასაც უწყობს ხელს.

პედიატრი **ა. ილურიძე**

---

*ეს საკითხი განმარტებულია ჟურნალის ამავე ნომერში დაბეჭდილ მიხაილოვას წერილში — ,,მოსწავლის კუთხე“.

# მოსწავლის კუთხე

ახლოვდება 1 სექტემბერი... მოსწავლეები მოუთმენლად ელიან ამ დღეს. ღელავენ მშობლებიც — როცა ბავშვს სასკოლოდ ამზადებენ, საზრუნავი ბევრია. ამ მღელვარებასა და ფუსფუსში ზოგჯერ გვავიწყდება, რომ ბევრ აუცილებელთან ერთად საჭიროა ვიზრუნოთ სახლში ბავშვის სამუშაო კუთხის მოწყობაზეც.

გაივლის ერთი კვირა, მეორე და მოსწავლეს სკოლიდან პირველი საშინაო დავალება მოაქვს. როგორ მოამზადებს ის ამ პირველ დავალებას? ამაზე ბევრია დამოკიდებული.

მეცადინეობის პირველივე დღიდან უნდა ჩავუნერგოთ ბავშვს ყურადღება და გულმოდგინეობა. ამისათვის კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გარემო პირობებს. თუ ბავშვი სადღაც მაგიდის კუთხეში, აულაგებელ ჭურჭელთან მეცადინეობს, თანაც რადიოს ან უფროსების ლაპარაკის აკომპანიმენტის თანხლებით, ყველაზე გულმოდგინე და შემსრულებელი ბავშვისგანაც კი ძნელია რაიმე წარმატებას ელოდე!..

როცა ბავშვისათვის სამეცადინო ადგილს ვარჩევთ, უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ის კარგად და სწორად იყოს განათებული — როგორც დღე, ისე საღამოს. ბავშვის მხედველობა ძალიან იძაბება, როცა ის ანბანს სწავლობს. მისი მხედველობა, როცა ასოების მოხაზულობას ანსხვავებს, მაქსიმალურად დატვირთულია. თუ წიგნი ან რვეული ამავე დროს ცუდადაც არის განათებული — ვთქვათ, ჩრდილი ეცემა, ან პირიქით, ძალიან დიდი სინათლე ხვდება და არეკლილი სხივები თვალებში ხვდება — მხედველობის დაძაბვა გაცილებით მეტი იქნება. მხედველობის მუდმივი დაძაბვა კი ძალიან მავნებელია თვალებისათვის და შეიძლება ბავშვებში სიბეცე (ახლომხედველობა) გამოიწვიოს.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ სინათლეს, განსაკუთრებით კი დღის სინათლეს, მარტო მხედველობისთვის კი არა აქვს მნიშვნელობა. სინათლე გავლენას ახდენს ბავშვის სიმაღლეზე და საერთოდ, ფიზიკურ განვითარებაზეც, — კარგად მოქმედებს მის გუნება-განწყობაზე; მზის სხივები ანადგურებენ სხვადასხვა დაავადებების გამომწვევ მიკროორგანიზმებს.

მოსწავლე ბავშვს ოთახის ყველაზე სინათლიანი კუთხე უნდა გამოვუყოთ, ფანჯარასთან ახლოს. უმჯობესია შუქი სამუშაო მაგიდას მარცხნიდან ხვდებოდეს, მაშინ ბავშვის მარჯვენა ხელის ჩრდილი წერის დროს არ დაეცემა რვეულს.

თუ ფანჯარა აღმოსავლეთისაკენ ან დასავლეთისაკენ გადის, მზისაგან დასაცავად ფანჯარას თხელ მსუბუქ ფარდას ჩამოვაფარებთ, რომ წიგნს ან რვეულს მზის პირდაპირი სხივები არ ხვდებოდეს.

საღამოხანს, განსაკუთრებით კი შემოდგომასა და ზამთარში, ჭერიდან განათების გარდა აუცილებელია ბავშვს მაგიდის ნათურაც ჰქონდეს მწვანე ან მქრქალი აბაჟურით. ასევე მოხერხებულია სოკოს ფორმის სამაგიდო ნათურა, რადგან მინის აბაჟურს ქვემოთ რგოლია მოთავსებული, რომელიც ნათურის ძაფს ფარავს და ძლიერ შუქს ირეკლავს.

ბავშვის მაგიდა და კუთხე კარგად იქნება გაშუქებული, თუ მაგიდის ნათურაში ჩავრთავთ 50-60 ვატის სიმძლავრის ნათურას...

ზოგჯერ ბინდისას, მშობლები ელექტროშუქს არ ანთებენ, შიშობენ, რომ შერეული — დღის და ხელოვნური განათება მავნებელია თვალებისთვის. ეს შიში უსაფუძვლოა. შერეული შუქი მხედველობისათვის არაა საშიში, მაშინ, როცა შუქის უკმარობამ მუშაობის დროს მოსწავლის მხედველობას შეიძლება გარკვეული ზიანი მოუტანოს.

ავეჯი, რომლითაც ბავშვი სარგებლობს, თავისი ზომით უნდა შეეფერებოდეს მის სიმაღლეს. ყველაფერს ჯობია ისეთი სპეციალური მაგიდის ან მერხის შეძენა, რომლის ზომა შეიძლება პერიოდულად ვცვალოთ მოსწავლის ზრდასთან ერთად. ასეთი ავეჯის ნიმუშები მზადდება ჩვენთან და ზოგჯერ მაღაზიებში იყიდება. მაგრამ თუ ამ სახის ავეჯი ვერ ვიშოვნეთ, მაშინ მაგიდა და სკამი ბავშვის სიმაღლის შესაფერი უნდა გავაკეთოთ.

ეს ძალიან იოლად მოხერხდება: სკამზე დავდებთ მკვრივ ბალიშს ან სპეციალურ ფიცარს, ხოლო ფეხქვეშ ბავშვს დავუდგამთ პატარა სკამს, რომ ზედმეტად მაღალი სკამიდან არ ჩამოხოხდეს. თუ რამდენად დაბალი უნდა იყოს სკამი მაგიდასთან შედარებით, ამის განსაზღვრა შეიძლება ქვემოთმოყვანილი ცხრილით:

**მაგიდისა და სკამის ზომები სხვადასხვა სიმაღლის დროს (სანტიმეტრებში)**

| ბავშვის სიმაღლე | სკამის სიმაღლე | მაგიდის სიმაღლე | მანძილი სკამიდან მაგიდამდე |
|---|---|---|---|
| 110—119 | 31 5 | 52,0 | 20,5 |
| 120—129 | 34,0 | 56,0 | 22,0 |
| 130—139 | 38,0 | 62,0 | 24,0 |
| 140—149 | 41,0 | 68,0 | 27,0 |
| 150—159 | 44,0 | 73,0 | 29,0 |

მეცადინეობის დროს მოსწავლე გამართული უნდა იჯდეს, მკერდით მაგიდას არ ეყრდნობოდეს და თავს ძალიან დაბლა არ ხრიდეს. წერის დროს ორივე ხელი თავისუფლად უნდა ეწყოს მაგიდაზე. ამ დროს სკამი ოდნავ (დაახლოებით 4-5 სანტიმეტრით) უნდა იყოს შეწეული მაგიდის ქვეშ. მეცადინეობის დროს მოსწავლეს უნდა შეეძლოს სკამის საზურგეზე მიყრდნობა.

წერა და კითხვა უფრო მოხერხებულია, თუ წიგნი ან რვეული ოდნავ დახრილ სიბრტყეზე დევს. ეს აიოლებს მხედველობის მუშაობას. ამიტომ სასურველია გავაკეთოთ სამაგიდო პიუპიტრი, რომლის სახურავი 12-15 გრადუსით იქნება დახრილი.

მაგიდის გვერდით ან ზემოთ კარგია მოვათავსოთ პატარა თარო საბავშვო წიგნებისა და სათამაშოებისათვის.

სექციებისაგან შემდგარი თანამედროვე ავეჯი საშუალებას იძლევა გამოიყოს ბავშვის კუთხე ისე, რომ არ დაირღვეს ოთახის საერთო სტილი და მყუდროება.





**ლ. მიხაილოვა,**

**მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.**

# შავქლიავი

## შავქლიავის მურაბა

ახლადდაკრეფილი მწიფე შავქლიავი ფრთხილად გავთალოთ, ჩავყაროთ ქვაბში, დავასხათ წყალი, რომელშიც ახალი კირია გახსნილი, გავაჩეროთ 1 საათს, მერე გავრეცხოთ, ვიდრე სუფთა წყალი არ გაუვა. შემდეგ ნაყოფი დავჩხვლიტოთ, ჩავყაროთ წინასწარ მომზადებულ სიროფში (4 კგ შავქლიავზე 4 კგ შაქარი, 2 ჩაის ჭიქა წყალი და ერთი მუჭა კირი), ვხარშოთ ზომიერად, გადმოდგმის წინ ქაფი მოვხადოთ, გავაციოთ და ჩავასხათ ქილებში.

ასევე მზადდება რენკლოდის და ალიბუხარის მურაბაც.

## ბრინჯი შავქლიავის მურაბით

2 ჩაის ჭიქა ბრინჯი გავარჩიოთ, გავრეცხოთ და ცოტახანს გავაჩეროთ წყალში. შემდეგ ჩავყაროთ სქელგვერდებიან ქვაბში, დავადოთ 100 გრ კარაქი, დავუმატოთ მარილი (გემოვნებით), დავასხათ 5 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და ნელ ცეცხლზე ვხარშოთ თავდახურული. მოხარშული ბრინჯი ამოვიღოთ თეფშებზე და ზევიდან მოვრთოთ შავქლიავის მურაბით.

## შავქლიავის ჩირი

მწიფე შავქლიავი გავჭრათ შუაზე, ამოვაცალოთ კურკები. მზეზე გავფინოთ და გავახმოთ. გამხმარი შევინახოთ მშრალ და გრილ ადგილას. შავქლიავის ჩირი იხმარება საჭმელად, კომპოტში. მას სამკურნალო დანიშნულებაც აქვს: შავქლიავის ჩირი, წყალში დამბალი, შესანიშნავად არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას.

## დაგუღული ხორცი შავქლიავით

ავიღოთ 1-1/2 კგ. მსუქანი ხორცი (ახალგაზრრდა საქონლის, ცხვრის, ღორის ან ფრინველის), გავრეცხოთ, დავჭრათ მოდიდო ნაჭრებად, ჩავყაროთ მოგრძო, სქელგვერდებიან ქვაბში და მოვშუშოთ. როცა შუშვის დასრულებას ცოტა დააკლდება, დავუმატოთ მარილი და 1 კგ კარტოფილი, მოზრდილ ნაჭრებად დაჭრილი. შემდეგ აქა-იქ მოვაყაროთ 150 გრ შავქლიავი ან შავქლიავის ჩირი, სუფრაზე ცხლად მივიტანოთ.

## შავქლიავის საწებელი

6 კგ მწიფე შავქლიავი გავარჩიოთ, გავრეცხოთ, გამოვაცალოთ კურკები, ჩავჭყლიტოთ ქვაბში და ვხარშოთ უწყლოდ, თან ვურიოთ. როცა მოიხარშება, ცხელივე გავატაროთ საწურში და ხის კოვზით მოვაცილოთ კანი, გავაციოთ. მეორე დილით შევამზადოთ. ვუყოთ: წმინდად დანაყილი 300 გრ ქინძი, 200 გრ ცერეცო, 150 გრ ომბალო, 200 გრ ნიორი, 100 გრ ნიახური, 100 გრ ქონდარი და ამდენივე ოხრახუში (მწვანილი დაყვავილებული უნდა იყოს), წიწაკა და მარილი — გემოვნებით. მაშინვე ჩავასხათ ბოთლებში და შევინახოთ ცივად.

ეს საწებელი, თუ სიცხარე მეტი არა აქვს, მიეცემა ავადმყოფსაც. ასევე შეიძლება მომზადდეს ღოღნაშოს და ტყემლის საწებელიც, ოღონდ მათ კურკიანად ვხარშავთ.

დიასახლისი **ო. ბრეგვაძე**

# დაიხსომეთ!

მზეზე ყოფნა სასარგებლოა დილის საათებში — 9-დან 12-მდე. შუადღის პაპანაქებაში რომ არ დავისიცხოთ, უკეთესია ჩრდილში ჩამოჯდომა ან წამოწოლა. მზით სარგებლობისას სიფრთხილე გვმართებს; მზეზე ყოფნა 5 წუთიდან უნდა დავიწყოთ და შემდეგ ყოველდღიურად ვუმატოთ 1-2 წუთი. მზის სხივებისაგან თავი უნდა დავიფაროთ თავსაფრით ან ქუდით.

არაა რეკომენდებული მზის აბაზანის მიღების წინ ტანის საპნით დაბანვა. საპონი აშრობს კანს და ადვილად შეიძლება მზისგან დამწვრობა მივიღოთ. არც ოდეკალონით შეიძლება ტანის დაზელვა ზღვის ნაპირზე გასვლის წინ -- ოდეკალონში შემავალი არომატული ნივთიერებები კანს მგრძნობელობას უმაღლებს მზის სხივების მოქმედებისადმი.

* * *

არ დაიბანოთ სახე საპნით მზის აბაზანის მიღების შემდეგ. სასარგებლოა სახის გაწმენდა მაწვნით. არაყანში შერეული ათქვეფილი კვერცხის ცილა საუკეთესო ნიღაბია მსუბუქი სიდამწვრის მოსარჩენად.

გახურებულ, დამწვარ კანს საამოდ აგრილებს უმი რძის საფენები.

* * *

ზღვის ნაპირზე გასვლისას არ დაივიწყოთ მუქი სათვალე: ის იცავს თვალებს მზის მწვავე სხივებისაგან. ახალგაზრდა ქალებს უხდებათ ფერადჩარჩოიანი სათვალე. მოგრძო მინებიანი სათვალე ავიწროვებს და აახალგაზრდავებს სახეს, მაგრამ მუდმივ სახმარად მუქი სათვალე არ ვარგა და თუ მზე მწვავე არ არის, სულაც ნუ იხმართ.

დიდხანს მზის გულზე ყოფნამ შეიძლება გამოიწვიოს ანთებითი პროცესი თვალებში და ქუთუთოები ჩამოასიოს. ასეთ შემთხვევაში დაიბანეთ თვალები თბილ წყალში გახსნილი ბორის სიმჟავით (1 ჩაის კოვზი 1 ჭიქა წყალზე), ან გაიკეთეთ ცივი მაგარი ჩაის ნაყენის საფენები.

* * *

სიცხისგან თმა ხმება და შეშდება, ტყდება, კარგავს ფერსა და ბრწყინვალებას. თმას რომ ძველებური მოქნილობა და ბრწყინვალება დავუბრუნოთ, ამისათვის რეკომენდებულია: წავისვათ თავის კანზე საჭმლის ზეთი, თმა კარგად დავივარცხნოთ და დაზიანებული, შეკვეცილი ბოლოები შევჭრათ.

* * *

მზით არანორმალურმა სარგებლობამ შეიძლება გამოიწვიოს კანის სიდამწვრე. ორგანიზმის გადახურება იწვევს სისუსტეს, თავბრუსხვევას, უძილობას და მადის დაკარგვას. ამიტომ ბოროტად ნუ გამოიყენებთ მზეს. თუ ოდნავ დაიწვით, დამწვარ ადგილზე წაისვით სულ ცოტა არაყი ან ოდეკალონი და შემდეგ პუდრი.

* * *

მზის აბაზანის მიღების შემდეგ კარგია ბანაობა, მხოლოდ მაშინვე კი არა! ცოტახანს, 10-15 წუთით მაინც წამოწექით ან დაჯექით ჩრდილში და გაგრილდით. წყალში ჩასვლისას ჯერ თავი და სახე დაისველეთ, შემდეგ კი თამამად შედით წყალში და იმოძრავეთ. უცბად წყალში ჩახტომა მხოლოდ იმათ შეუძლიათ, ვინც ბანაობას შეჩვეულია.

წყალში თავდაპირველად სიცივეს შევიგრძნობთ, შემდეგ კი — სასიამოვნო სითბოს. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ შეგვცივდება (ხელმეორედ). ეს იმის ნიშანია, რომ წყლიდან უნდა გამოხვიდეთ. პირველ დღეებში არ იბანოთ 3-5 წუთზე მეტხანს. შემდეგ თანდათანობით ეს დრო გააგრძელეთ 15-20 წუთამდე. ყველაზე კარგი დრო საბანაოდ დილის საათებია. დღეში 2-3 ჯერ ბანაობა მხოლოდ იმათ შეუძლიათ, ვინც შეჩვეულნი არიან. სიამოვნების მომგვრელია ბანაობა ძილის წინაც, ოღონდ ეს ყველასთვის სასარგებლო როდია! საერთოდ, ბანაობა გამაღიზიანებლად მოქმედებს და ზოგიერთს შეიძლება ძილი დაურღვიოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უსიტყვო იუმორი

მხატვარი ი. დოიაშვილი



მხატვარი ა. ერაძე





## ინგლისური იუმორი

პროფესორი: — მითხარით ცოტაოდენი რამ მილტონის შესახებ.

სტუდენტი: — მილტონმა იქორწინა და დასწერა „დაკარგული სამოთხე“. შემდეგ მას მეუღლე გარდაეცვალა და დასწერა „დაბრუნებული სამოთხე“.

* * *

— დორა, ძვირფასო, გამომყვებით ცოლად?

— არა, მაგრამ მე ყოველთვის მომწონდა თქვენი გემოვნება.

* * *

— ექიმო, — წარმოსთქვა ქალმა ოთახში შესვლისთანავე, — გულახდილად მითხარით, რა ამბავია ჩემს თავს?

კაცმა იგი თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა.

— პირველი: კარგი იქნება თუ 50 გირვანქას მოიკლებთ წონაში. მეორე: უფრო სასიამოვნო შეხედულებისა იქნებით, თუ თქვენს მიერ გამოყენებული ფერუმარილისა და პომადის მხოლოდ ერთ მეათედს იკმარებთ. მესამე: მე მხატვარი გახლავართ, ექიმი მეზობელ ოთახში ცხოვრობს.

* * *

— თქვენს მეუღლეს ძალიან უყვარს მაგარი ყავა, — თქვა ექიმმა. — თქვენ ხელი უნდა შეუშალოთ ამას. ეს მას აღაგზნებს.

— მაგრამ, ექიმო, უნდა ნახოთ, როგორ აღაგზნებს მას სუსტი ყავა!

ინგლისურიდან თარგმნა
**ზეინაბ ჩიქოვანმა**

გარეკანის პირველ გვერდზე—
„მინდვრის ყვავილები“—
ფერადი ფოტო ნორა ანთიძის;
გარეკანის მეოთხე გვერდზე—
„თეთნულდი“—თვითნასწავლი მხატვრის
ს. ჩიტიძის ნამუშევარი.


რედაქტორი თ. აბაშიძე.

სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბალდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.

მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია. ტექრედაქტორი ქ. დემუროვა

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდება.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/VIII-63 წ. ქაღალდის ზომა 60×92, ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორმათა რაოდ. 5.3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71.
ტირაჟი 48.000. **ფასი 30 კაპ.**
შეკვეთის № 1562, უე 02134.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა**

**Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сакартвелос Кали“.**

**Издательство ЦК КП Грузии.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თქმულება უძოის მთაზე

მხატვარი დ. ზარაფიშვილი



ზეიმობდა თბილისი...

დიდი იყო მტერზე გამარჯვების სიხარული. სახელდახელოდ გაჩაღებულ კოცონებთან ტრიალებდნენ მეომრები. სუსტი ქარი ნელა არხევდა ხეთა ტოტებს, ბრძოლაში დაღლილ მეომრებს თუ ეფერებოდა. გამარჯვებულთ ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, შემდეგ დავლურში იწვევდნენ.

გარესოფლელები მაღალ მთებიდან გადმოჰყურებდნენ თბილისს და წუთი წუთზე ელოდნენ გამარჯვებული ქმრების, შვილების, ახლობლების სახლში დაბრუნებას. აქ იყო მზექალაც. გამარჯვებულ ხალხს შეჰხაროდა, უბრწყინავდა თვალები, შუბლი გაშლოდა. გულს კი უძეოდ ყოფნის სინანული ახლა უფრო ეგრძნო და შეკუმშვოდა. მაინც ჰმუნვას ვერ აეყოლებინა ქალი: დიდი იყო მტერზე გამარჯვების სიხარული.

დამთავრდა ომი. დაილოცა ვაჟკაცის მარჯვენა — დატრიალდა კევრი, კალო გაილეწა, ყურძენი დაიწურა. მოზღვავდა ხვავი და ბარაქა.

სოფლის ცხოვრებას მისდევდნენ ტკბილი ცოლ-ქმარი. ქმარს რომ მინდვრად გაისტუმრებდა. სახლს მიხედავდა მზექალა, ჯამჭურჭელს წკრიალს დააწყებრინებდა. ვენახში გადაირბენდა, ხბოს ადგილს მოუნაცვლებდა, მიუალერსებდა. როცა საქმე აღარაფერი ჰქონდა, მაღალ მთას შეუყვებოდა, გადმოხედავდა მწვანეში ჩაფლულ მიდამოს. ხელისგულივით გაშლილ თბილის-ქალაქს. ვერცხლისწყალივით რომ ჩაღვროდა მტკვარი და, როდი ტკბებოდა ქალი. — ხეს მიყრდნობილი გარინდდებოდა. ქარი თმებს უწეწავდა და, თითქოს ამ ქარსვე მოჰქონდა აკვნის ჟინჟილაკების ხმა და ტკბილი ნანა. უწიოდა ყურები, უწიოდა და სტანჯავდა. ევედრებოდა ყველაფერს: ბალახს, ხეს. მტკვარსაც შორს რომ მოსჩანდა — თქვენი გამჩენის მადლსა ვთხოვ, ძე მომეცესო. წამოსვლისას მთაზე ამაყად მდგარ საყდარში შეივლიდა, შუბლს მიაყრდნობდა ღვთისმშობლის ხატს და დიდხანს ლოცულობდა.

დაღლილი მოდიოდა სახლში, მაგრამ როდი იმჩნევდა. იავ-ნანაო, ვარდო-ნანაო. — მეზობელ ერდოზე ჩვილს დამღეროდა დედა.

„ხვალაც წავალ საყდარში, ფეხშიშველი, მუხლდაჩოქილი შევევედრები ღვთისმშობელს!“

და მეორე დღეს ქალი ნაცნობი ბილიკით მთას შეუყვა. ციოდა, მაგრამ ვერ გრძნობდა...

— მისმინე, დედაო ღვთისა! — ცრემლმორეული ქალი ევედრებოდა ღვთისმშობელს...

ქარმა ჩამოაცილა მზექალა მთიდან. უხურდა თავი, ლოყები, ალმური ასდიოდა, უჩვეულოდ ეწვოდა სხეული. თავით უჯდა ბრგე ვაჟკაცი, შუბლშეკრული დასცქეროდა და ხმა ვერ ამოეღო. შემდეგ უფრო ახლოს მიჯდა. თითქოს ქალთან მისულ სიკვდილს იგერიებსო. მაგრამ მზექალას გაყინულმა ტუჩებმა უკანვე წამოაგდო.

ამბობენ, ის დიდი ხე, მსხვილტოტა და ფართოდ გაშლილი, რომელზეც მზექალას უყვარდა მიყრდნობა, მისი ცოდვით გახმაო. იმ დიდ მთას კი, ამაყად რომ გადმოსცქეროდა თბილისს. უძეოს ანუ უძოს მთა დაარქვეს. ხალხმა დღემდე შემოინახა ის გამხმარი ხე და მთის სახელი.

ჩაწერა როზა ირემაშვილმა



ИНДЕКС 76177



